ჩვენი ცხოვრება

ყოველ ორშაბათს ერთხელ გამოდის

1930

№ 18

ივნისი



ბრძოლა კულაკობის, როგორც კლასის, სრულ განადგურებამდე!

მსხვილი კულაკური წარმოების ნაცვლად—მსხვილი კოლმეურნეობები!

დიდათ შემცდარია და ჩამორჩენილია ის, ვინც იმ შეხედულებას ადგია თითქოს კოლმეურნეობების მოწყობა მხოლოდ ძლავრ სამანქანო საძირკველზეა შესაძლებელი

У 367

1. უკანასკნელ თვეებში კოლექტიურმა მოძრაობამ ახალი ნაბიჯი გადასდგა წინ. იგი მოედო არა მარტო ცალ - ცალკე მომუშავე შეურნეობათა ზოგიერთ ჯგუფებს, ის ეხლა ფართოდ მოედო მთელ რაიონებს, ოლქებსა და კუთხე - მხარეებს. ამ მოძრაობას საფუძვლად უძევს ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა საწარმოო საშუალებების გაერთიანება.

კოლექტიური მოძრაობის განვითარების მუხლი გაცილებით უფრო ჩქარია, ვიდრე ეს გათვალისწინებული გვქონდა ჩვენი გეგმების მიხედვით. განსაზოგადოებული შრომით დამუშავებული ნათესების სივრცე 1930 წლის გაზაფხულზევე საგრძნობლად გადააჭარბებს 30 მილიონ ჰექტარს მაშინ, როდესაც ჩვენი ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ჩვენ მხოლოდ ხუთი წლის დამლევს კოლექტიური ნათესების სივრცე 22-24 მილიონ ჰექტარამდე უნდა გვქონებოდა.

ამგვარად, ჩვენ გვაქვს ნივთიერი საძირკველი იმისათვის, რომ მსხვილი კულაკური წარმოების მაგივრად მსხვილი კოლმეურნეობრივი წარმოება დავამყაროთ და ძლიერათ წავიწიოთ წინ სოციალისტურად მიწის დამუშავება. ამასთან ერთად საბჭოთა მეურნეობების ზრდაც საგრძნობლად სჭარბობს გეგმით გათვალისწინებულ ციფრებს.

ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობისათვის და სწორედ ამან მისცა საშუალება პარტიას თავის მუშაობაში კულაკების მადასურვილების შეზღუდვის გზისათვის თავი დაენებებია და გადასულიყო კულაკების, როგორც კლასის, სრულებით მოსპობის გზაზე.

2. ყოველივე ამის გამო შეიძლება გადაჭრით ვსთქვათ, რომ ხუთი წლის დამლევისათვის ნათესი სივრცის 20 პროცენტის კოლექტივიზაციის ნაცვლად, რაც გათვალისწინებული გვქონდა ხუთწლიანი გეგმით, შევსძლებთ გლეხურ მეურნეობათა დიდი უმრავლესობის კოლექტივიზაციის ამოცანის გადაჭრას.

ამასთან ისეთი უმნიშვნელოვანესი ხორბლეულის რაიონების სრული კოლექტივიზაცია, როგორიც არის ვოლგის ქვემო მხარე, ვოლგის შუა მხარე და ჩრდილო კავკასია, შეიძლება დამთავრდეს დაახლოვებით 1930 წლის შემოდგომაზე ან ყოველ შემთხვევაში, 1931 წლის გაზაფხულზე.

ხორბლეულის სხვა რაიონების კოლექტივიზაცია კი შეიძლება დამთავრდეს 1931 წლის შემოდგომაზე ან, ყოველ შემთხვევაში, 1932 წლის გაზაფხულზე.

3. კოლექტივიზაციის ზრდის სიჩქარესთან შეფარდებით, უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს მუშაობა იმ ქარხნების ასაგებად, რომელნიც დაამზადებენ ტრაქტორებს, კომბაინებს და სხვას, აგრეთვე ტრაქტორისათვის მისაბმელ იარაღებს. უნდა გაძლიერდეს ეს მუშაობა იმდენად, რომ ქარხნების აგება დამთავრდეს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ დანიშნულ ვადებში. ამასთან ერთად ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს — არა უგვიანეს ამა წლის 15 მარტისა წარუდგინოს ც. კ.-ს მოხსენება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელნიც მომავალ წელსვე უზრუნველყოფენ როგორც რთულ სასოფლო - სამეურნეო მანქანების დამზადების საერთო ზრდას, ძველ ქარხნებში, ისე განსაკუთრებით, სატრაქტორო და რთული საცხენო ინვენტარის წარმოების თვალსაჩინო ზრდას.

4. რადგან ძველი—ცხენით ან ხარ-ცამეჩით მუშაობის საშუალებით შეცვლა მანქანებით არ შეიძლება განხორციელდეს ამ მოკლე ვადაში და უფრო გრძელ ვადას მოითხოვს, ამიტომ საკავშირო კომპარტიის ც.კ.-ს საჭიროდ მიაჩნია სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს იმ მიდრეკილებას, რომელიც საკმარისად არ აფასებს თუ რა მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობების დღევანდელ საფეხურზე ცოცხალი ძალით გამწევ საქონელს. ეს იწვევს უღელის გამწევი საქონლისადმი ყურადღების შესუსტებას. საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი საჭიროთ სთვლის დღევანდელ პირობებში, როგორც გარდამავალ დროებითი ღონისძიება გაძლიერდეს ყურადღება კოლექტივებში შერეული სახის გამწევ-საქონელის და სამანქანო ორგანიზაციების შექმნა-მოწყობისაკენ.

5. კოლექტიური მოძრაობის ტემპის გაძლიერებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს საკავშირო მიწამოქმედების სახ. კომისარიატს — მოახდინოს მიწამომწყობ ძალთა და სახსართა გადაჯგუფება იმ რიგად, რომ საესებით დაკმაყოფილებულ იქნას კოლექტივიზაციის რაიონების მიწამომწყობის საჭიროებანი და გადასდოს მეორე რიგისათვის ცალკე მომუშავე მეურნეთა მიწამომწყობა, გარდა ზოგიერთი ეროვნულ შემადგენლობის რაიონისა და მომხმარებელი ზოლის იმ ცალკე რაიონების გარდა, სადაც კოლექტიური მოძრაობა ჯერ არ არის ფართოდ განვითარებული.

6. ამასთან შეფარდებით ც. კ.-ს აუცილებლად მიაჩნია კოლექტიური მეურნეობისათვის სესხთა მისაცემი თანხის გადიდება 1929-30 წლის განმავლობაში 270 მილიონ მანეთიდან 500 მილიონ მანეთამდე და მის კვალობაზე დანარჩენი სახის მეურნეობათათვის გასაცემი სესხი.

7. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში პირობების შეცვლასთან შეფარდებით, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა, რომელთაც საკავშირო სატრაქტორო ცენტრი აერთიანებს, თავიანთ მუშაობაში უნდა შეიტანონ ზოგიერთი ცვლილება. მათ ხელშეკრულებები უნდა დასდონ განსაკუთრებით კოლექტივებთან და დააკისრონ გლეხებს ვალდებულება, რომ ისინი სადგურის ღირებულებას დაფარავენ სამი წლის განმავლობაში.

ამავე დროს იმ რაიონებში, სადაც საგრძნობლად არის განვითარებული საბჭოთა მეურნეობები (მაგალითად, ვოლგის შუა მხარე და ჩრდილო კავკასიის ცალკე რაიონები) უნდა შემოწმდეს შერეული სახის მეურნეობა. ასეთი მეურნეობის ძირითად საძირკველს წარმოადგენს საბჭოთა მეურნეობა, რომელიც მოქმედობს ხელშეკრულებათა საფუძველზე და რომელიც სათანადო ქირის გადახდევინებით დახმარებას უწევს ხელშეკრულების დამდებ

კოლმეურნეობებს, პირველ ყოვლისა, ტრაქტორით დახვნისა და მოსავლის მანქანით აკრეფის საქმეში.

8. მომზადებულ ხელმძღვანელ მუშაკების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ც. კ. წინადადებას აძლევს საკავშირო მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, კოლმეურნეობათა ცენტრს და პარტიის საოლქო კომიტეტებს — დააჩქარონ მუშაობა კოლმეურნეობრივი ხელმძღვანელ მუშაკების მოსამზადებლად და კოლექტიური მეურნეობების უზრუნველსაყოფად. ამისათვის საჭიროა ვადაშემოკლებული კურსების ფართო ქსელის შექმნა. აღნიშნულ კურსებზე პირველ რიგში უნდა იგზავნებოდენ კოლმეურნეობრივი მოძრაობის უშუალო მუშაკი-გლეხები და ამ მოძრაობის ორგანიზატორები მუშათა ბრიგადების რიგებიდან.

9. მთლიანი კოლექტივიზაციის გამოცდილებამ დაგვიანახვა, რომ კოლმეურნეობრივი მოძრაობის დღევანდელ საფეხურზე კოლმეურნეობების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა არის სასოფლო - სამეურნეო არტელი, რომელშიაც კოლექტიურად გაერთიანებული არიან წარმოების ძირითადი საშუალებანი ცოცხალი და მკვდარი ხელსაწყო და იარაღი, სამეურნეო ნაგებობანი და საკლავი, მეწველი და მუშა-საქონელი. ამიტომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ. ავალებს საკ. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს — რაც შეიძლება მოკლე ვადაში გამოიმუშაოს სასოფლო - სამეურნეო კოლმეურნეობრივი არტელის, როგორც კოლმეურნეობიდან კომუნაში გარდამავალი საშუალების სანიმუშო წესდება; ამასთან წესდებაში გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ კულაკები ასეთ მეურნეობაში არ იქნებიან დაშვებული.

10. პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ თავისთავად ყოველივე ხელმძღვანელობის გარეშე ჩამოყალიბებულსა და განვითარებულ კოლმეურნეობრივ მოძრაობას. უნდა მიეცეს მათ ნამდვილი კოლექტიური სახე და შინაარსი, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ნამდვილი კოლექტიური წარმოება და ამ საფუძველზე მიღწეულ უნდა იქნას ნათესი სივრცის გაფართოების და მოსავალის გადიდება. ამასთან ერთად ც. კ.-ის ნოემბრის გადაწყვეტილებათა თანახმად, ახლანდელი თესვის კამპანია უნდა გადაიქცეს კოლმეურნეობრივი მოძრაობის შემდგომი გაშლა - განვითარების ახალ მიჯნათ.

11. საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა ყოველგვარ ცდასთან, რომელიც მიმართულია ტრაქტორებისა და რთული მანქანების სიმკირის საბაბით, კოლმეურნეობრივი მოძრაობის შენელებისაკენ. ამასთან ერთად ც. კ. აფრთხილებს პარტორგანიზაციებს — კოლმეურნეობრივი მოძრაობის საქმეში არ მიმართონ ბრძანების გაცემის გზას, ვინაიდან ეს იქნება არა ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრება კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობის საქმეში, არამედ ზერელე მოპყრობა კოლექტივიზაციისადმი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.
მოსკოვი.

კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია

ხელი შეუწყეთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, გასწმინდეთ კოლმეურნეობები კულაკებისაგან, ფართოდ ჩააბით ღარიბი და საშუალო გლეხთა მასები კოლმეურნეობათა მშენებლობაში

მიმდინარე წლის 10 იანვრიდან 1-ლ მარტამდე საქართველოში უნდა ჩატარდეს კოლექტიურ მეურნეობათა ხელმძღვანელ ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. ის ამოცანები, რომლებიც დასმულია კოლმეურნეობათა წინაშე, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდასაქმნელად, ამ კამპანიას უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ. კოლმეურნეობათა სწრაფმა ზრდამ, განსაკუთრებით უკანასკნელ წელს იჩინა თავი პარტიის ძირითადი მთავარი ხაზის სწორად გატარების საფუძველზე.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის გადაწყვეტილება, რომელშიაც გათვალისწინებულია კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, მოითხოვს ყველა პარტიული, საბჭოთა და კოოპერატიული ორგანიზაციებისაგან მთელი ძალღონისა და მუშაობის უნარის უაღრესად დაჭიმვას.

კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დიდი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ეს კამპანია ჩატარდება გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადების დროს. თვით ამ კამპანიის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ კოლექტიურ მეურნეობათა სწრაფად განვითარების ნიადაგზე—ის ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად მოწყობილ ნაწილის განმტკიცებას და ფართე გზას უხსნის მის მომავალ ზრდასა და დაწინაურებას.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა თაოსნობა-საქმიანობის გაღვივებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის კაპიტალისტურ ძალებზე გადამჭრელი შეტევისათვის და საჭიროთ სთვლის, განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიის დროს, კიდევ უფრო გაძლიერდეს მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხთა კოლმეურნეობათა მშენებლობაში ჩასაბმელად.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს სოფლის მეურნეობის დარგში, ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობათა მოწყობა-ჩამოყალიბებაში საქართველო თვალსაჩინოთ ჩამორჩება საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებს ჩრდილო კავკასიას, უკრაინას და სხვა. ამიტომ კოლმეურნეობათა მომავალ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში უნდა მოხდეს საკავშირო კ.პ. ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის დავალე-

ბა-გადაწყვეტილებათა ფართო გარკვევა გლეხობის ძირითადი მასებისათვის, მათი ყურადღების დარაზმვა ამ ამოცანების განხორციელებისაკენ, საჭიროა ალნიშნული გადაწყვეტილებათა ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით გამოყენება. არსებული კოლმეურნეობების გახძკიცებასთან ერთად კაშხანიამ ხელი უნდა შეუწყოს პარტიის გადაწყვეიტლების შესრულებას მთელი სოფლებისა და რაიონების მთლიანად კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლის შესახებ.

მომავალ კამპანიაში კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხური მეურნეობები უნდა შეადგენდეს საერთო რიცხვის 7%-ს,ხოლო განსაზოგადოებული ნაწილის ნათესი სივრცე—135.000 ჰექტარამდე. ეს დავალება უსათუოდ და ყოველივე პირობების გარეშე უნდა შესრულდეს. მომავალ საანგარიშო-საარჩევნო კამპნიაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს: კოლმეურნეობათა ნივთიერ-ტეხნიკურ საძირკველის ჩაყრას და განმტკიცებას, კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული და განუყოფელი ფონდების ზრდასა და თესლის ხელშეუხლებელი მარაგის შექმნის საკითხებს. კოლმეურნეობათა მშენებლობაში მძლავრი ტეხნიკური საძირკველის შექმნაში ჩვენ უკვე გვაქვს თვალსაჩინო შედეგები, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ სავსებით ვერ აკმაყოფილებენ მთელს მოთხოვნილებას, ამიტომ კოლექტიურად გაერთიანებული მოსახლეობის სახსრების დაგროვებას და მათი საერთო საქმისათვის გამოყენებას მომავალ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში კოლმეურნეობებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. ეს გარემოება იწვევს კოლმეურნეობებში შემავალი მოსახლეობის საღსარ-საშვალებათა მთლიანი განსაზოგადოებას.

ამასთან ერთად სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ კულაკების აგიტაციას. მიაქციეთ ყურადღება, რომ კულაკებმა ამჟამად შესცვალეს ბრძოლის ხერხი, თუ უწინ ისინი იძახდენ: „არ შეხვიდეთ კოლმეურნეობებში“-ო, ეხლა იგივე კულაკები ღარიბსა და საშვალო გლეხებს ურჩევენ „შედით კოლმეურნეობებში, საწარმოო საშუალებებს ნუ შეიტანთო“. გამოუცხადეთ ბრძოლა, როცა კოლმეურნეობებში წევრებათ შესვლამდე გლეხი წინასწარ გაჰყიდის ხელსაწყო იარაღს, წევის ძალას, საქონელს და სხვ. კოლმეურნეობათა და ღარიბ გლეხების ცალ-ცალკე მეურნეობათა მთლიანად უზრუნველსაყოფად გამოიყენეთ, ცოცხალი წევის ძალა, მოაწყვეთ ხარ-კამეჩებისა და ცხენების კოლონები.

გარდა ამისა, კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე და მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა საერთო კრებებზე განიხილეთ და გამოიტანეთ დადგენილება მომავალ გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიაში კულაკურ მეურნეობათა მუშა საქონლისა და მანქანა-იარაღების თავის მოყრა-გამოყენების შესახებ, რაც პირველ ყოვლისა უნდა მოხმარდეს განსაზოგადოებული მეურნეობათა მიწებისა და შემდეგ ღარიბ გლეხობის კერძო ცალცალკე მეურნეობათ ყანების დამუშავებას.

კოლმეურნეობათა სწრაფი ზრდა მომზადებულ მუშაკების ნაკლებობასთან ერთად თვალსაჩინოთ აძნელებს სწორსა და განუწყვეტელ ხელმძღვანელობას. გარდა ამისა, ღარიბი და საშვალო გლეხების დიდ ნაწილს არ მოეპოვება საჭირო ხელსაწყო იარაღები. ტრაქტორები და რთული მანქანები ჯერ-ჯერობით ერთობ ცოტაა სოფლად, ამიტომ საჭიროა წვრილ-წვრილი კოლექტივების რაც შეიძლება დაახლოვება და გაერთიანება. უამისოდ შეუძლებელი იქნება სასოფლო-სამეურნეო იარაღების სრულად და სავსებით გამოყენება, შრომის ნაყოფის მომატება და მოსავალის გადიდება. ამ გარემოებას უდიდესი ყურადღებით უნდა მოეპყრათ მომავალი კამპანიის ჩატარების დროს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანიზაციებს და კოლმეურნეობათა ცენტრს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს დიდი ყურადღება მიაქციონ შემდეგ საკითხებს:

1) კოლმეურნეობებში საწარმოო შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

2) კოლმეურნეობების წევრთა პასუხისმგებლობისა და პირადი დაინტერესების გაძლიერების საკითხებს.

3) საწარმოო თათბირების მოწყობას და სოციალისტური შეჯიბრების გაშლას,

4) კრებებზე პრაქტიკული ღონისძიებების დამუშავებას და კოლმეურნეობებში წევრებათ ფართო ღარიბი და საშვალო გლეხების მასების მიზიდვას.

ძირითადი ამოცანა, რომელიც მოითხოვს მთელი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას არის ის, რომ ფართო თვითკრიტიკის საფუძველზე საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის დროს ულმობელად გამოამჟღავნოთ ყოველი ნაკლი, მეტადრე ის, თუ კი სადმე მოხდა, რომ კულაკებს ვინმე ხელს უწყობდა და იმავე დროს ღარიბ და საშუალო გლეხობის საჭიროებას კი უყურადღებოდ სტოვებდა. ყველა ასეთი მოვლენები, ყოველგვარი მემარჯვენე გულგატეხილი და კულაკების მოტრფიალე ხალხის შეცდომები და დანაშაული, რაც ძალზე აფერხებს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას, ულმობელად ამხილეთ და გამოიტანეთ დღის სინათლეზე. თვით კრიტიკის საფუძველზე უნდა მიაღწიოთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის თვალსაჩინო გადახალისებას. მმართველობის ყველა ორგანოების და თვით წევრთა შემადგენლობა გადაჭრით გასწმინდეთ კულაკებისა და გარეშე ვიგინდარა პირებისაგან.

ახლო მომავალში სოფლად მუდმივ სამუშაოზე იგზავნება მოწინავე პოლიტიკურად მომზადებული მუშები. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ მთამზადონ ღარიბ და საშუალო გლეხთა თაოსნობა - საქმიანობის უნარის მქონე ნაწილი, პირველ ყოვლისა კოლმეურნეობებში, დასაწინაურებლად.

ამასთან ერთად ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა გაზაფხულის თესვის კამპანიის მზადების დროს სოფლად გაგზავნილი მუშათა ბრიგადები და კოლონები ყოველმხრივ გამოიყენოთ კოლმეურნეობათა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიაში პროლეტარული გავლენის და ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად.

საანგარიშო - საარჩევნო კამპანია გამოიყენეთ აგრეთვე კოლმეურნეობათა მუშაობის საწარმოო გეგმების შესადგენათაც. ამ გეგმების დანიშნულებას უნდა შეადგენდეს საგულდაგულოთ ამა და ამ რაიონის ამა და ამ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა.

ამ გეგმების შედგენისა და დამუშავების საქმეში ფართოდ გამოიყენეთ როგორც ადგილობრივი აგრონომიული ძალები, ისე სოფლად გაგზავნილი აგრონომები და სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები.

კოლმეურნეობათა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში თვალსაჩინო მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლის საბჭოებმა. საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის დროს სოფლის საბჭოებმა უნდა მოისმინონ კოლმეურნეობათა საანგარიშო მოხსენებები, ეს იქნება დასაწყისი იმ ამოცანების ზედმიწევნით განხორციელებისათვის, რომლებიც დასახულია საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის გადაწყვეტილებების თანახმად სოფლის საბჭოების კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარებისა და განმტკიცებაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

სოფლის საბჭოებმა აგრეთვე ტეხნიკური დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს ანგარიშების მოწესრიგებაში, კოოპერაციის მოანგარიშეთა, მასწავლებელთა და სხვ. მიწვევით.

სოფლის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საანგარიშო-

საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობაში მონაწილეობასთან ერთად უაღრესად უნდა გააძლიეროს პარტიის წევრთა და კომკავშირელთა ჩაბმა კოლექტიურ მეურნეობებში.

გამწვავებულ კლასობრივი ბრძოლა, რომელიც გაიშალა სოფლად. მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ირგვლივ, მოითხოვს განსაკუთრებითი მკაფიო კლასობრივ ხაზს კოლმეურნეობრივი მოძრაობის საქმეში. პარტიის ძირითადი ხაზის სისწორით გატარება შეიძლება მხოლოდ კულაკთან ულმობელი ბრძოლის საშუალებით. არ უნდა დაივიწყოთ, რომ კულაკი არა მარტო აშკარად ილაშქრებს კოლმეურნეობათა წინააღმდეგ, არამედ სცდილობს კიდევაც შეეგუოს კოლმეურნეობას, რომ ის შიგნიდან დაშალოს. ამიტომ ეს კამპანია უნდა ვამოიყენოთ იმისათვისაც, რომ განაპორციელოთ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის დადგენილება კრუკოლმეურნეობებთან გადამჭრელი ბრძოლის შესახებ. ეს შესაძლებელია მხოლოდ ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების სწორი ორგანიზაციით და მათი გლეხობის ძირითად მასასთან—საშუალო გლეხობასთან მჭიდროთ დაკავშირებით.

ამისდა მიხედვით, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა მისივე დადგენილების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ღარიბ გლეხთა კრებების გეგმიანად ჩატარება, ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობის გაცხოველება, მუშაობაში ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების ფართოდ ჩაბმა და ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების შექმნა ყველა სახის კოლმეურნეობებისა და მათ გაერთიანებებში—მიწის საზიაროთ დამმუშავებელი ამხანაგობანი, სამანქანო ამხანაგობანი და სხვა.

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი

გ. აბესაძე

რატომ იძლევა სიმინდი ჩვენში მცირე მოსავალს

სიმინდი ჩვენში ძალიან არის გავრცელებული. საქართველოს მთელ ნათესების ერთი ნახევარი სიმინდს უკავია; ხოლო მეორე ნახევარი დანარჩენ მცენარეებს: პურს, ქერს, დიკას, ჭვავს, ღომს, კარტოფილს და მრავალ სხვას.

სიმინდი განსაკუთრებით გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. მიწების ცხრა მეათედი აქ სიმინდით არის დათესილი და იშვიათია ისეთი ოჯახი, რომელიც ერთ-ორ ჭიქა სიმინდს მაინც არ თესავდეს.

აქ სიმინდი ხალხის სარჩოცაა და საქონლის საკვებიც; სიმინდის მოსავლით უნდა დაიკმაყოფილოს აქაურმა გლეხმა ოჯახის სხვა მოთხოვნილებაც. ერთი სიტყვით, **სიმინდის მოსავალზეა დამყარებული გლეხის ოჯახის ბედ-იღბალი.** თუ გლეხს სიმინდის მოსავალმა უმტყუნა, მიწის მუშა დიდ გაჭირვებაში ჩავარდება.

სიმინდი აღმოსავლეთ საქართველოშიაც საკმაოდ არის გავრცელებული და ყოველ წლივ კიდევ უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს.

მიუხედავად ამისა, ჩვენებური მიწის მუშა - გლეხი **დიდ ყურადღებას მაინც არ აქცევს სიმინდის წესიერ მოვლა-დამუშავებას.**

ამის გამო ჩვენში სიმინდის მოსავალი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამერიკაში, ავსტრო-უნგრეთში, იტალიაში, რუმინეთში და სხვაგან სიმინდის თესვა-მოყვანა ძალიან არის გავრცელებული და აქ სიმინდი მოსავალსაც მეტს იძლევა. ჩვენში დესეტინაზე საშუალოდ 70—80 ფუთი სიმინდის მეტი ვერ მოგვყავს. ამერიკაში კი, მაგალითად, მისი მოსავალი საშუალოდ 120 ფუთს უდრის; სიმინდის წესიერად მომვლელ მეურნეს კი 250—300 ფუთიც თავისუფლად მოჰყავს; ესე იგი, ამერიკის მოსავალი ორჯერ — სამჯერ აღემატება ჩვენს მოსავალს.

რა არის ამის მიზეზი?


ამის მიზეზი ის არის, რომ ამერიკელი მეურნე მიწის მუშა დიდ ყურადღებას აქცევს სიმინდისათვის დროზე ნიადაგის დამზადებას, მის კარგად დამუშავებას, სიმინდის მოვლა-მოყვანას. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლის მომატებისათვის, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს **სათესლე მარცვალის გარჩევას.** ამ პატარა წიგნაკში სწორედ თესლის გარჩევაზე გვექნება საუბარი.

რატომ უნდა გადავარჩიოთ სათესლე სიმინდი

სათესლე სიმინდის გარჩევას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამის დასამტკიცებლად საკმარისია ერთი მაგალითი მოვიყვანოთ:

ერთმა მეურნე გლეხმა ასეთი ცდა მოახდინა: აიღო ორი თანაბარი ზომის და ღირსების ნაკვეთი მიწა. ერთზე დათესა გარჩეული თესლი, მეორეზე კი გაურჩეველი. წლის განმავლობაში ნათესს ერთნაირად უვლიდა, ერთსა და იმავე დროს მარგლიდა და თოხნიდა, ერთსა და იმავე დროს რწყავდა და ერთი სიტყვით, ყოველ მხრივ თანაბარ ყურადღებას აქცევდა ორთავე ნაკვეთს.

იმ ნაკვეთზე, რომელიც გაურჩეველი თესლით იყო დათესილი, დესეტინაზე 75 ფუთი სიმინდი მოვიდა, გარჩეული სიმინდით დათესილ ნაკვეთზე კი — 105 ფუთი, ესე იგი 30 ფუთით მეტი.



სურ. № 1. გარჩეული (მარცხნით) და გაურჩეველი (მარჯვნით) თესლით დათესილი ყანების მოსავალი.

ეს არც არის გასაკვირი.

ტყუილად ხომ არ იტყვიან: **„რასაც დასთეს, იმას მომკიო“!**

თუ სათესლედ კარგი და ბარაქიანი ტაროდან აღებულ საუკეთესო მარცვლებს ვიხმართ, მაშინ მოსავალიც კარგი მოგვივა. სუსტ და დაჩაგრულ მარცვლებიდან კი კარგი მოსავალის იმედი არასოდეს არ უნდა გვქონდეს.

ამიტომ ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სათესლე სიმინდის გარჩევას და არამც და არამც სათესლედ გაურჩეველი თესლი არ უნდა ვიხამროთ.

სათესლე სიმინდის გადარჩევა ყანაშივე უნდა დავიწყოთ

სათესლე სიმინდის გარჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ საქმეში დროის დახარჯვასა და ჯაფის გაწევას არ უნდა დაეერიდოთ.

გარჩევა უმჯობესია ყანაშივე დავიწყოთ, სანამ სიმინდს მოვტეხავდეთ.

ამისათვის საჭიროა დავიაროთ ყანა მოტეხის წინ და საუკეთესო ძირებზე უკეთესი ტაროები ამოვარჩიოთ.

ტაროების ამორჩევის დროს ყურადღება შემდეგ ნიშნებს უნდა მივაქციოთ:

1. **სიმინდი, რომლიდანაც სათესლე ტაროს მოვტეხავთ, უნდა იყოს ჯანსაღი, დიდი და მძლავრი; ფოთლები გრძელი და ფართე უნდა ჰქონდეს.**

ჯანსაღი და მძლავრი სიმინდის შთამომავლობაც ასეთივე გამოვა, ტაროსაც კარგს გაიკეთებს და მარცვლებსაც გარგად დაისრულებს.

2. ზოგ ძირ სიმინდს ბევრი ადგილი უკავია და ამიტომ ის საკვებს იღებს ნიადაგიდან. ასეთია, მაგალითად, ყანის ნაპირას მოჭცეული, ან განმარტოებით ამოსული სიმინდი. ასეთი ძირი სიმინდი ღონივრად ვითარდება, მაგრამ ამ განვითარების მიზეზი მისი კარგი თვისებების მიზეზი კი არ არის, არამედ ადგილისა და საკვების სიუხვე. შთამომავლობაში ეს თვისება არ იჩენება. **ასეთი სიმინდი სათესლედ არ გამოგვადგება.**

სათესლე ტაროები ისეთი ძირი სიმინდიდან უნდა ავიღოთ, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში იზრდება და სხვებს მაინც სჯობნის.

3. **ბარტყებიანი ძირი სიმინდი**, ესე იგი ისეთი, რომელიც ღეროს ძირში დამატებით ღეროებს იკეთებს **სათესლედ არ გამოდგება.**

დამატებით ღეროები საკვებს ართმევენ მთავარ ღეროს, რომელიც ამის გამო კარგად ვეღარ ვითარდება და მოსავალსაც ცოტას იძლევა, მისი შთამამავლობაც ასეთივე იქნება. ამიტომ მისგან სათესლე ტარო არ უნდა ავიღოთ.

4. **სუსტ-ღეროიან ძირ სიმინდიდანაც არ უნდა ავიღოთ სათესლე ტარო,** რადგანაც ასეთი სიმინდი შეიძლება ადვილათ ჩაწვეს ნესტიან, ან ქარიან ამინდში.

5. **მრავალ-ტაროიანი სიმინდიც არ გამოდგება სათესლედ,** იგი ვერ ახერხებს ყველა ტაროს კარგად დასრულებას; ამის გამო ის ნაკლები მოსავლის მომცემია. ამიტომ უმჯობესია სათესლე ერთტაროიანი სიმინდიდან ავიღოთ. შეიძლება ორტაროიანი სიმინდიდანაც ავიღოთ სათესლე, თუ ტაროები საკმაოდ კარგადაა განვითარებული.

6. **ტარო ღეროს შუა ნაწილში, ან ცოტა ქვევით უნდა იყოს მიმაგრებული.** არ ვარგა ძალზედ მაღლა მიმაგრებული ტარო, რადგან იგი კარგად ვეღარ ვითარდება და გვიანობამდე არ მწიფდება.

7. **ტაროს გრძელი ყუნწი (ფეხი) არ უნდა ჰქონდეს.** ასეთი ტარო ხშირად თავის სიმძიმეს ვეღარ უძლებს და ძირს ჩამოეკიდება ხოლმე. ქარი ადვილათ ამტვრევს მას და ამრიგად ტყუილ-უბრალოდ იკარგება. არ ვარგა ზედმეტად ძალზედ მოკლე ყუნწიანი (ფეხიანი) ტარო. **სათესლედ უმჯობესია საშუალო ზომის ყუნწიანი (ფეხიანი) ტარო ავიღოთ.**

8. **სათესლედ არც დატოტვილი ტარო გამოდგება,** რადგან ტოტები საკვებს ართმევენ მთავარ ტაროსაც, რომელიც კარგად ვეღარ ვითარდება. ასეთ ტაროდან კარგ მოსავალს ვერა-სოდეს ვეღარ მივიღებთ, ამიტომ იგი სათესლედ არ უნდა ვიხამროთ.

9. **არ ვარგა ისეთი ტაროც, რომელიც მეტის-მეტად ბევრს ფუჩეჩას იკეთებს.** საკვების უმეტესი ნაწილი ამ შემთხვევაში ფუჩეჩის კვებას დასჭირდება, თვით ტარო კი სუსტი იქნება, დაიჩაგრება; ამიტომ მოსავალსაც კარგს ვერ მოგვცემს.

10. მინდორში მოტეხილი საგანგებო, კარგი და ძლავრი ტაროები ცალკე უნდა დავაწყოთ, ფუჩეჩი მოვაცილოთ და ცალკე გავაშროთ, ცალკე შევინახოთ.

სათესლე სიმინდი გარჩევის დროსაც უნდა ამოვკრიფოთ

კარგ ტაროთ ჩაითვლება ისეთი, რომელიც თავისი სიდიდით, მრყვანილობით და გამოსავლით სხვებზე უკეთესია: მაგალითად, გრძელი და მსხვილი ტარო, რომელსაც წვერი და ძირი კარგად აქვს ამოვსებული.

გადარჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ ტაროს ფეხს და ფუჩეჩს. ეცადეთ ისეთი ტაროები ამოარჩიოთ, რომელთაც მოკლე ყუნწი აქვთ და ფუჩეჩიც ნაკლებად განვითარებული; ფუჩეჩი ცოტა და ნაზი ფოთლებისაგან უნდა შესდგებოდეს. სწორედ ასეთი, საუკეთესო ტარო, სიმინდის გარჩევის დროს, ცალკე უნდა გადავდვათ და ყანაში გადარჩეულ სიმინდთან ერთად სათესლედ უნდა შევინახოთ.

როგორც ყანაში, ისე ფუჩეჩის გახდის დროს, რაც მეტს ტაროს ამოვარჩევთ, მით უკეთესია.

სათესლეთ ერთი დესეტინისთვის, თუ ყანა მწკრივად ითესება, ერთნახევარი ფუთი სიმინდი სავსებით საკმარისია. ბუდობრივ თესვის დროს ამაზე ნაკლებია საჭირო, ხელით გაბნევით თესვის დროს კი მეტი—3 ფუთამდე. თუ სიმინდი წვრილ მარცვლიანია, შეიძლება ამაზე ნაკლებიც გვეყოს. მსხვილ - მარცვლიანი კი, პირიქით, უფრო მეტი იქნება საჭირო. შემოდგომაზე გადარჩევის დროს ეს უნდა გვქონდეს მხედველობაში და ამით ვიხელმძღვანელოთ სათესლე სიმინდის გადასარჩევად.

სათესლე სიმინდის შენახვა გაზაფხულამდე

სათესლედ გადარჩეულ სიმინდს უპირველეს ყოვლისა, ფუჩეჩი უნდა მოვაცილოთ. ფუჩეჩი - მოცილებული სიმინდი ზამთარში კარგად ვერ შეინახება, რადგან ადვილათ დანოტიოვდება და ჩალპება.

ფუჩეჩ - მოცილებული სათესლე სიმინდი საჭიროა გახმეს. ახლად მოტეხილ სიმინდში, ძალიან მწიფეც რომ იყოს, წყალი მაინც ბევრია. პირველ ხანებში სიმინდის კაკალი თითქმის სანახევროთ წყალში არის გაჟღენთილი. გახმობის შემდეგ წყალი თანდათან კლებულობს.

გაუხმობელი სიმინდი ცუდი შესანახია. თუ მარცვლებში წყალი ბევრია, მას სიცივეში ყინვა გაუჯდება და ამის გამოც მარცვალი სკდება და ზიანდება. ასეთი მარცვალი სათესლედ აღარ გამოდგება, ამიტომ აუცილებლად საჭიროა სიმინდი კარგად გავახმოთ მანამდე, სანამ ყინვები დაიწყებოდეს.

სიმინდი გასახმობათ უნდა შევინახოთ მშრალად, ისეთ შენობაში, სადაც ჰაერი თავისუფლად მოძრაობს, რომ მარცვლებიდან აორთქლილმა წყალმა ჰაერი არ დაანოტიოს; ამასთანავე ყოველ ტაროს ჰაერი გარს უნდა უვლიდეს.

გახმობა შეიძლება პირდაპირ მზეზე, თუ კი კარგი ამინდებია, მაგრამ ჩვენში სწორედ ამ დროს ატყდება ხოლმე წვიმები, ესეც რომ არ იყოს, სიმინდს მთელი თვენახევრის განმავლობაში სჭირდება ხმობა და იშვიათია, რომ ამ ხნის განმავლობაში სულ ერთთავად კარგი ამინდები იყოს. ცუდი ამინდის დროს სიმინდი დახურულ შენობაში უნდა შევინახოთ გასაშრობათ, მაგალითად, სახლისა და ბელლის სხვენზე, საცხოვრებელ ბინაში, მშრალ ადგილას დერეფნებში და სხვაგან.

სათესლე სიმინდს გახმობის შემდეგაც კარგი შენახვა სჭირდება

ყველაზე უფრო იოლი საშუალება სიმინდის შესანახად შემდეგია: ფუჩეჩის მოცილების დროს ტაროს ზედ რამოდენიმე ფურცელი უნდა დაუტოვოთ, ამრიგად შეიძლება ტაროები ერთმანეთზე გადავაბათ და გასახმობათ დავკიდოთ.

საზოგადოთ ყოველთვის უნდა ვეცადოთ, **რომ სიმინდი ისეთ ადგილას შევინახოთ, სადაც თაგვები ვერ მიუდგება.**

თბილი, დახუთული და ნესტიანი შენობა (მაგალითად, სარდაფი) არ ვარგა სიმინდის შესანახად. ასეთ შენობაში სიმინდის მარცვალი ადვილათ ჩახურდება და ღივდება; ამის გამო ნასახი ფუჭდება და მისგან კარგი სიმინდი ველარ გაიზრდება - განვითარდება. გარდა ამისა, ასეთ შენობაში სიმინდს ადვილათ უჩნდება ყოველგვარი ავადმყოფობა, როგორიც არის ობი და სხ.

სათესლე სიმინდი აუცილებლად ტაროებში უნდა შევინახოთ, რადგან დაფშვნილი სიმინდი ძნელად ინახება, უფრო მალე ჩახურდება.

სათესლე შესანახ ტაროს ფეხი, ანუ ყუნწი აუცილებლად უნდა მოვაცილოთ, რადგან ყუნწი შედარებით ადვილათ ლპება, რამაც შეიძლება სიმინდის ლპობაც გამოიწვიოს.

სათესლე სიმინდის გადარჩევას დათესვის წინ

სათესლე სიმინდი დათესვის წინ ერთხელ კიდევ უნდა გავარჩიოთ.

შემოდგომაზე გარჩეული და სათესლედ შენახული ტაროები გაზაფხულზე დაწვრილებით უნდა გადავათვალიეროთ და საუკეთესოები უნდა ამოვარჩიოთ დასათესად.

თავდაპირველად ამ ხელმეორეთ გარჩევის დროს სათესლე მასალიდან უნდა გამოვკრიფოთ შენახვის დროს გაფუჭებული და ობ-მოკიდებული ტაროები.

შემდეგ საკუთრივ გადარჩევას უნდა შევუდგეთ.

ამ გადარჩევის დროს **განსაკუთრებული ყურადღება ტაროსა და მარცვალის ღირსებასა და ნაკლს უნდა მივაქციოთ.**

როგორი უნდა იყოს ტარო

მე-2 სურათზე დახატულია კარგი ტაროს ნიმუში. იგი გამოსავალით საუცხოვოდ შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ასეთი, ყოველმხრივ კარგი ტარო, ძალიან იშვიათია. ეს ტარო ამერიკის ერთ-ერთ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი და 350 მანეთად გაიყიდა.

ასეთი ტაროს მოყვანა უნდა წარმოადგენდეს ჩვენ მიზანს, ამის მიღწევა შეიძლება, თუ ყოველწლივ თანდათანობით კარგ ტაროებს გადავარჩევთ ხოლმე და მხოლოდ ამ ტაროებიდან აღებულ მარცვალს დავთესავთ.

როგორი უნდა იყოს ტარო, რომლიდანაც სათესლე მასალა უნდა ავიღოთ?

1. ტარო უნდა იყოს გრძელი. გრძელ ტაროზე მეტი მარცვალი დაეტევა.

2. სიგრძესთან ერთად ტაროს უნდა ჰქონდეს შესაფერისი სიმსხოც. ამნაირი ტარო ბარაქიანიც არის და მოსავლიანიც.

სათესლეთ მოკლე და მსხვილი ტაროც არ ვარგა. მოკლე ტაროზე ბევრი მარცვალი ვერ ეტევა.

3. ტაროს სიმსხო თავიდან ბოლომდე შეძლებისდაგვარად თანაბარი უნდა იქნეს. არ არის კარგი, თუ ტარო წვერისაკენ ძალიან წვრილდება. ამ შემთხვევაში მარცვლებიც გაწვრილდება წვერისაკენ, მარცვლების რიცხვი იკლებს და ამიტომ გამოსავალი ნაკლები იქნება.

4. ტარო უნდა იყოს სწორი. მოღუნული, მრუდე ტარო სათესლედ არ ვარგა, რადგან მასზე ცოტა მარცვალი ეტევა.

5. ტაროს წვერი უნდა იყოს მომრგვალებული და კარგად ამოვსებული მარცვლებით. (ნახ. სურ. № 3). არ ვარგა, თუ ტაროს წვერი ძალიან წაწვრილებული აქვს და ან თუ წვერი მარცვლებით არ არის ამოვსებული. მარცვლის გამოსავალს ეს ძალზე ამცირებს. (ნახე სურ. № 4).

6. ტაროს ძირი კარგად უნდა იყოს ამოვსებული მარცვლებით. მარცვლები ისე უნდა იყოს შემოწყობილი ტაროს ფეხის (ყუნწის) გარშემო, რომ მისი მოტეხის დროს ტაროს ბოლო ჩაღრმავებულ დარჩეს. ასეთი ტარო ბარაქიანია (ნახე სურ. № 5). თუ ტაროს ბოლო კარგად ვერ აქვს ამოვსებული, მასზე ცოტა მარცვლის მეტი არ დაეტევა და გამოსავალიც ცოტა ექნება (ნახე სურ. № 6).




სურ. № 2. კარგი ტაროს ნიმუში.

სურ. № 5-ზე გამოხატულია ტაროს კარგად ამოვსებული ბოლო: ასეთი ტარო გამოდგება სათესლედ. სურათი № 6-ზე გამოხატული ცუდათ ამოვსებულია ტარო, სათესლედ უვარგისია.

7. ტაროზე მარცვალი სწორედ უნდა იყოს ჩარიგებული. არ არის კარგი, თუ მარცვლები არეულია, ან თუ მარცვლის რიგები ირგვლივ ეხვევა ტაროს. ასეთ ტაროზე მარცვალი ცოტა ეტევა და მისი გამოსავალიც ნაკლები იქნება.

8. მარცვლები მჭიდროთ უნდა იყოს ერთი მეორეზე მიწყობილი. თუ მარცვალი მჭიდროთ არ არის მიკრული, ეს ნიშანია, რომ სიმინდი დაუმწიფებელია, ან კიდევ ცუდი ჯიშისაა. არც ერთი და არც მეორე ხელსაყრელი არ არის მეურნისათვის, ამიტომ ასეთ ტაროდან სათესლე მარცვალს ნუ აიღებთ.

9. ნაჭუჩი (ნაჭუჩელი, ნაგულა) უნდა იყოს წვრილი. თუ ნაჭუჩი წვრილია, მაშინ მარცვლები გრძელი იქნება, რაც მოსავლიანობისათვის ძალიან ხელსაყრელია (ნახე სურათი № 7 კარ-



სურ. № 3. კარგად ამოვსებული წვერი.

გი ტაროს განატეხი), ცუდ ტაროს ნაჭუჩი მსხვილი აქვს (ნახე სურ. № 8). ამნაირი ტარო სათესლედ არ ვარგა.

10. ტაროს ყუნწი (ფეხი) არ უნდა იყოს ძალზედ წვრილი.

ასე გადარჩეულ ტაროებს, უპირველეს ყოვლისა, **წვერი და ძირი უნდა გამოვაფშვნათ,** როგორც ეს სურათ № 9-ზეა გამოხატული.

ეს იმიტომ არის საჭირო, რომ წვერის მარცვლები წვრილია და მათში ნასახიც პატარაა მოთავსებული. ბოლოს მარცვლებიც ვერ არის კარგად განვითარებული, რის გამოც მათგან კარგი შთამომავლობა ვერ განვითარდება.

სათესლე ტაროები უმჯობესია ხელით დავფშვნათ; მანქანით დაფშვნა, ან დაცეხვა მარცვალს აზიანებს, რის გამო იგი ველარ გაღივდება და ნაზარდს ვერ მოგვცემს. ამიტომ სათესლე ტაროები უმჯობესია ხელით ფრთხილად დავფშვნათ. ამას ბევრი დრო არ დასჭირდება, რადგან სათესლედ ცოტა სიმინდის მეტი არ არის საჭირო.

როგორი უნდა იყოს სათესლე მარცვალი


არ არის საკმარისი მარტო ის, რომ სიმინდის თესლი კარგი ტაროებიდან იქნეს აღებული. საჭიროა, რომ თვით თესლიც კარგი ღირსების იქნეს; საჭიროა სათესლედ საუკეთესო მარცვლები იყოს ამორჩეული.

როგორი უნდა იყოს სათესლე მარცვალი?

1. სათესლე მარცვალი უნდა იყოს სალი. დაზიანებული და დაავადებული თესლიდან ან სულ არაფერი არ ამოვა და ყანა მოგვიცდება, ან თუ ამოვიდა, სუსტი და დაავადებული გამოვა.

2. მარცვალი უნდა იქნეს გრძელი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ სათესლედ მსხვილი ტარო უნდა გადავარჩიოთ. მაგრამ ტაროს სიმსხო ნაჭუჩის სიმსხოსაგან არ უნდა იყოს გამოწვეული, არამედ მარცვლისაგან. თუ მარცვალი გრძელია, მაშინ ნაჭურჩელი (ნაჭუჩი) წვრილი იქნება, რის გამო მარცვლის გამოსავალიც მეტი იქნება.

3. მარცვალი თანდათანობით და შეუმჩნევლად უნდა წვრილდებოდეს და ღრმად იყოს ჩამჯდარი ნაჭუჩში. არ ვარგა მრგვალი მარცვალი, რადგან ასეთი მარცვალი ერთიმეორეს მჭიდროთ ვერ მიეწყობა—მიეკვრება, მარცვლებს შორის თავისუფალი ადგილი




სურ. № 4. ცუდათ ამოვსებული წვერი.

(ხანი) დარჩება და გამოსავალი ცოტა იქნება. ამავე მიზეზით არ არის ხელ-

საყრელი ისეთი მარცვლებიც, რომლებიც თავიდან ბოლომდე ლურსმანივით წვრილდებიან.

4. სათესლე მარცვალი უნდა იყოს პრტყელი, საშუალო სიფართისა.



სურ. № 5. კარგად ამოვსებული ბოლო.

5. სათესლე მარცვალი უნდა იყოს ერთნაირი ფერით და ერთი ჯიშის სიმინდს უნდა ეკუთვნოდეს, ერთნაირ მარცვალს ბაზარზეც უკეთესი ფასი აქვს. გარდა ამისა, ერთნაირ მარცვლებით დათესილი ყანა ერთს დროს შემოდის და მწიფდება, რაც ძალიან ხელსაყრელია.

6. სათესლე მარცვალი უნდა იყოს ერთგვარი მოყვანილობის. ერთგვარი მარცვლები უმეტეს შემთხვევაში **ტაროს შუა ნაწილშია** ხოლმე მოთავსებული; სწორედ ამიტომაც არის საჭირო თესლი ტაროს შუა ნაწილიდან იქნეს აღებული. წვერისა და ბოლოს მარცვლები ცალკე უნდა მოიფშვნას და სხვა საჭიროებისათვის იქნეს გამოყენებული.

7. სათესლე მარცვალს ნასახი დიდი უნდა ჰქონდეს. მარცვალს ნასახი იმ ადგილას აქვს მოთავსებული, სადაც ღარივით ჩაჭრილებული ადგილი აქვს.

რაც უფრო დიდი ნასახი აქვს მარცვალს, მით უფრო კარგი სიმინდი და მძლავრი მცენარე განვითარდება — გაიზრდება მისგან. ამიტომ საჭიროა **დიდ ნასახიანი** მარცვლები გადავარჩიოთ სათესლედ. გარეგნულად ამის შეტყობა ასე შეიძლება: თუ მარცვალს **ჩაღრმავებული** ადგილი დიდი აქვს, მაშასადამე მას ნასახიც დიდი ექნება, რადგან ნასახი სწორედ იმ ადგილას არის მოთავსებული.

8. ნასახი უნდა იყოს ნათელი ყვითელი ფერისა.


სათესლე სიმინდის გაღივების უნარიც უნდა გამოვარკვიოთ.

სიმინდის სათესლედ დაფშვნამდე საჭიროა გასინჯული და გამორკვეული იქნეს თესლის გაღივების და ამოსვლის უნარი.

ზოგიერთ თესლს გარეგნულად კარგი შეხედულება აქვს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო გაღივების და ამოსვლის უნარი დაკარგული აქვს.

სათესლედ გადარჩეულ ტაროებს სანამ დავფშვნიდეთ, მანამდე უნდა გამოვარკვიოთ მათი მარცვლების გაღივების უნარი.


ამისათვის საჭიროა ყოველ ტაროდან აღებულ იქნას 5-10 მარცვალი.



სურ. № 6. ცუდათ ამოვსებული ბოლო.


სასურველია ტაროები დანომრილი იყოს. გამოსაცდელი ტაროს სიმინდის მარცვლები უნდა მოვათავსოთ ხის ყუთში შემდეგნაირად: ყუთში ჯერ უნდა ჩავყაროთ სიითი სილა, ან ნახერხი, ზედაპირი გავასწოროთ, ზემოდან დავაფინოთ გაზეთის ან საშრობი ქაღალდი და ქაღალდზე დავალაგოთ მარცვლები უნდა მოვათავსოთ ხის ფილი და დახაზული უნდა იყოს რა-

მოდენიმე ნაწილად, რომ შეგვეძლოს აღვნიშნოთ, თუ რომელი ტაროს მარცვლები რა ადგილას არის დათესილი, ან რა შედეგი მოგვცა. ზევიდან მარცვლებს ისევ სველი ქაღალდი უნდა გადაეფაროს და ყუთი თბილ ადგილას დაიდგას. დრო გამოშვებით უნდა დავხედოთ, რომ მარცვლებს სინესტე არ შემოაკლდეს. ამისათვის წყალი ხშირ-ხშირად უნდა ვაპკუროთ ხოლმე.



სურ. № 7. კარგი ტაროს განატეხი.


ხუთი დღის შემდეგ მარცვლები უნდა გაისინჯოს. თუ ამ ხნის განმავლობაში თესლი არ გაღივებულა (გაღივებულ თესლს გამოტანილი უნდა ჰქონდეს საკმაოდ ღონიერი ფესვი და



სურ. № 8. ცუდი ტაროს განატეხი.

ღეროს ნაზარდი), ასეთი თესლი დასათესად უვარგისი იქნება.

ყოველი ხუთი მარცვლიდან ოთხი მაინც უნდა იქნეს გაღივებული. თუ რომელიმე ტაროდან ამაზე ნაკლები მარცვალი გაღივდა, ის ტარო სათესლედ ვერ გამოდგება და ამიტომ უნდა გამოვაკლოთ სათესლე მასალას.



სურ. № 9. წვერ და ბოლო მოფშვნილი სათესლე ტარო.

ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი მოსავალისათვის, ამიტომ მარცვლების გაღივებას უყურადღებოთ ნუ დასტოვებთ.

სურათ № 10-ზე გამოხატულია რამდენიმე ტაროს გაღივებული თესლი

დააკვირდით სურათს და ნახავთ, რომ ზოგი ტაროს თესლი ძალიან არის გაღივებული, ზოგის ნაკლებად: ყველაზე კარგად და მეტად გაღივებულია მე-5 უჯრაში; ეს ტარო საუკეთესოა დასათესად; სულ არ არის გაღივებული



სურ. № 10. ყუთში გასაღივებლად მოთავსებული სიმინდის მარცვლები. ყოველი ტაროს მარცვლები ცალ-ცალკეა მოთავსებული.

№ 1-ში; ეს ტარო არ გამოდგება სათესლედ.

სათესლედ უნდა ავიღოთ მხოლოდ შუა – წელის მარცვალი. დაფშვნის შემდეგ უნდა გადაირჩეს საღი და უზადო მარცვალი და ის დაითესოს.

ნუ დათესავთ გადაურჩეველ სიმინდს

როგორც ვნახეთ, სიმინდის თესლის გადარჩევა არც ისე ძნელი საქმეა, სარგებლობა კი ყოველმხრივ დიდი მოაქვს, ამიტომ არასოდეს არ უნდა დაიზაროთ და სათესლე სიმინდი ყოველთვის გადაარჩიოთ. ესევე უნდა ვურჩიოთ ჩვენ მეზობლებსაც, რომ მთელ სოფელში კარგი სიმინდი იქნეს გავრცელებული და ცოტა ყანის სიახლოვემ ჩვენი ყანაც არ გაგვიფუჭოს. თუ ცუდი ყანის ქუჩეჩის მტვერი მოხვდა კარგი ყანის ტაროს ულვაშებს, ამითი კარგი ყანაც გაფუჭდება, რადგან მომავალ წელს მათგან კარგი სიმინდი ვეღარ განვითარდება. ქუჩეჩის მტვერი მამაა სიმინდის მარცვლისა, ტარო კი დედა და თუ ცუდი ყანის მტვერმა გაანაყოფიერა ტარო, ამით რასაკვირველია მისი შთამომავლობაც ნაწილობრივ დაგლახავდება. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო.

სასურველია მთელი სოფელი შეკავშირდეს და საერთოდ გადაწყვეტდეს გაურჩეველი თესლი არ იხმაროს. შეერთებულის ძალით უფრო ადვილად მიაღწევთ სასურველ შედეგს.

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ გარჩეულ თესლს დიდი მნიშვნელობა აქვს!

გაწეული შრომა მუდამ დაგიფასდებათ!

ნ. ალნიაშვილი

როგორ გავადიდოთ მოსავალი

საქართველოს ხუთ წლიანი გეგმით მარცვლეულის მოსავალი 35 პროცენტით უნდა გავადიდოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც ერთს ჰექტარზე 80 ფუთ სიმინდს იღებს იმან 1932 წელში 108 ფუთი სიმინდი უნდა აიღოს და ვინც ჰექტარზე 50 ფუთ პურს იღებს, იმან იმავე ერთ ჰექტარიდან 67 ფუთნახევარი პური უნდა აიღოს.

რით აიხსნება ჩვენში მცირე მოსავალი?

ზოგი ნიადაგს, ზოგი ჰავას, ზოგი გვალვას, ზოგი მიწის სივიწროვეს და სხვა მიზეზს აბრალებს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არის ქვეყნები, სადაც ჩვენზე უარესია ნიადაგიცა და ჰავაც, სადაც გვალვაც იცის, მიწის სივიწროვეც დიდია, მაგრამ იქ მოსავალი გაცილებით მეტი მოჰყავთ, ვიდრე ჩვენ. მაგალითად, ბელგიაში მეურნეს ერთ ჰექტარ მიწიდან მოჰყავს — 135 ფუთი პური.

დანიაში — 119 ფუთი პური.
ინგლისში — 115 ფუთი პური.
გერმანიაში — 103 ფუთი პური.
შვეიცარიაში — 90 ფუთი პური.
საფრანგეთში — 64 ფუთი პური.
საქართველოში—45 ფუთი პური.

ამრიგად საქართველოში მეურნეს, თითქმის, სამჯერ ნაკლები მოსავალი მოჰყავს, ვიდრე ბელგიაში, ორჯერ ნაკლები, ვიდრე შვეიცარიაში, თუმცა, როგორც ბელგიაში, ისე შვეიცარიაში გაცილებით უფრო ცუდი პირობებია მუშაობისათვის ვიდრე საქართველოში.

ეჭვი არ არის, რომ იქაურ მეურნესაც სხვადასხვა ხიფათი ელობება წინ იქაც იცის ცუდი მოუსაელიანი წლები, მაგრამ, სამაგიეროთ, მათ იციან ყოველგვარ ხიფათების და მარცხის წინააღმდეგ ბრძოლა.

საუკეთესო იარაღი ამ ბრძოლაში არის სასოფლო - სამეურნეო, ანუ აგრონომიული ცოდნა. თუ ჩვენი მეურნეც ამ ცოდნით შეიარაღდება, ისიც შესძლებს ყოველ ხიფათის დაძლევას, გვალვა მაშინ მას ვეღარას დააკლებს და ამგვარათ მოსავალსაც მეტს მოიყვანს.

ასე რომ უბედურება იმდენად ნიადაგში, გვალვაში და ცუდ წელიწადში კი არ არის, რამდენადაც იმაში, თუ ვინ, როგორ უვლის ყანას — ნათესს.

იყო დრო, როცა იმ ქვეყნებში, რომლებიც ზევით მოვიხსენიეთ მცირე მოსავალი მოდიოდა, მოუსავლობაც ხშირი იყო მაშინ იქ, მაგრამ დაძველებული, მამა-პაპური წესების მიტოვებამ მოუსავლობასაც ბოლო მოუღო, და მოსავალმა ერთი- ორათ და ერთი-სამად იმატა,

დავანებოთ ამ ქვეყნებსაც თავი, განა ჩვენში კი არ არის მაგალითები, რომ ალაგ-ალაგ ერთი-ორათ და ერთი სამად მეტი მოსავალი მოსდის ყუათიან მიწის მუშას, საკლელ მინდვრებში ჰექტარი მიწა 100-120 ფუთს და მეტს პურს იძლევა, სიმინდის მოსავალი კი ხშირად 200 და 300 ფუთამდე აღწევს. რატომ? იმიტომ, რომ იმგვარ ხვნა-თესვას მისდევენ, როგორც ამას მეცნიერება მოითხოვს.

ერთი სიტყვით, საქმე ნიადაგში და ცუდ წელიწადში კი არ არის, არამედ ცოდნაში და იმაში, თუ ვის როგორ მიჰყავს თავისი მეურნეობა.

მაშ რა არის საჭირო მოსავლის გასადიდებლად

თუ გვინდა რომ პურმა და სიმინდმა მეტი მოსავალი მოგვცეს, ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ ძველებურ მაშა-

პაპურ წესებზე და შემოვიღოთ ახალი წესები სოფლის მეურნეობაში.

ეხლა და ჯერ-ჯერობით ჩვენი გლეხი ისე ხნავს და ისე სთესავს, რომ არამც თუ მოსავლის გადიდება, მოსავალის თანდათანობითი დაკლება და შემცირება აუცილებელია.

მაგალითად ჩვენში ასე იციან: ამოიჯინებენ ერთ რომელიმე ნაკვეთზე, ვთქვათ სიმინდის თესვას და მუდამ ყოველ წელს სიმინდის მეტს არაფერს სთესენ ამ ნაკვეთზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს კმარა მოსავალის თანდათანობით შესამცირებლად. დროა ბოლო მოელოს ერთ და იმავე მცენარის ერთ და იგივე ადგილას გამუდმებით თესვას. საჭიროა, რომ ერთ მცენარის ადგილზე მეორე წელიწადს სხვაგვარი მეორე მცენარე დავთესოთ. მესამე წელიწადს კიდევ სხვა. ნიადაგი გაუსუქებელი არ უნდა დავტოვოთ. საჭიროა დროგამოშვებით მიწისათვის სასუქის მიცემა.

მაგრამ არც ეს კმარა. საჭიროა სხვა ახალი წესებიც შემოვიღოთ: **ნიადაგი უკეთ და დროზე უნდა დავამუშაოთ, სათესლეთ ჯიშიანი, ნიადაგთან შეგუებული და დარკვეული მარცვალი უნდა ვიხმაროთ, თესლი მწკრივზე უნდა დავთესოთ, ნათესების მოვლა-პატრონობა უნდა ვისწავლოთ და სხვა.**

აი, უმთავრესად, რა უნდა შემოიღოს ჩვენმა მხვნელ - მთესველმა, რომ ჭირნახულის მოსავალი გაადიდოს და ნაწარმოები გააუმჯობესოს.

შევეხოთ ყველა ამ წესებს დაწვრილებით.

როდის უნდა ნიადაგის მომზადება

ჩვენი ჭირნახულის მცირე მოსავალი უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ჩვენი გლეხი ძლიერ გვიან ხნავს მიწას. შემოდგომაზე დასათეს ყანას გლეხი ზაფხულზე ადრე არ მოხნავს. მეტი ნაწილი დათესვამდე მხოლოდ ერთი თვით ადრე თუ დაიწყებს ნიადაგის მოხვნას, ან და, მოხნავს თუ არა, მაშინვე შეუდგება თესვას.

გაზაფხულის თესვისათვის ხომ ჩვენ სრულებით არ ვიცით ნიადაგის წინასწარ დამზადება. გაზაფხულზედაც მოიხვნება თუ არა საყანე, მაშინათვე შეუდგებით ხოლმე თესვას.

გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ მოსავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როდისაა მოხნული დასათესი მიწა. ივნისში და, უფრო კი, ივლისში მოხნული მიწა გაცილებით ნაკლებ მოსავალს იძლევა, ვიდრე ადრე გაზაფხულზე ან კიდევ წინა შემოდგომაზე მოხნული მიწა.

ერთი საცდელი სადგურის დაკვირვებით წინა შემოდგომაზე მოხნულმა ანეულმა მისცა—141 ფუთი ჭვავი, აპრილში მოხნულმ ა— 168, ივნისში მოხნულმა — 112.

ამგვარად, აპრილში მოხნულმა ანეულმა 56 ფუთით მეტი მოსავალი გამოიღო, ვიდრე ივნისში მოხნულმა.

სხვა საცდელ სადგურების დაკვირვებებიც ამასავე ადასტურებენ, ესე იგი იმას, რომ, რაც უფრო ადრე მოხნულია ანეული, მით უფრო მეტ მოსავალი მოაქვს მას. აქედან ცხადია, თუ რამდენ მოსავალს კარგავს ჩვენი გლეხი, როცა ის ანეულს ზაფხულში — ივლის - აგვისტოში ან და თესვის ერთი თვით ადრე მოხნავს და მაშინათვე შეუდგება ხოლმე თესვას.

როგორც სჩანს ანეულის ადრეული მოხვნა საუკეთესო ღონისძიებაა მოსავლის გასადიდებლად. ამიტომ ანეული უნდა მოხნათ მაისამდე, ამაზე გვიან მოხნული ანეული ნაკლებ მოსავალს იძლევა. ადრეული ანეული იმითაც არის ხელსაყრელი, რომ მარცვალთან ერთად ასეთი ყანა ჩალასაც (ნამჯას) მეტს იძლევა.

მოხვნის ალოს (დროს) პურის შემდეგ დათესილ მცენარის მოსავალზედაც აქვს გავლენა, ადრე გაზაფხულზე მოხნულ ანეულზე მეორე წელიწადს დათესილმა გაზაფხულის თესლმა გაცილებით მეტი მოსავალი იცის, ვიდრე ზაფხულში გვიან მოხნულმა ანეულმა.

აი რას გვიჩვენებს ერთი საცდელი სადგურის მაგალითი:

პურის შემდეგ დათესილი იყო კართოფილი.

წინა შემოდგომით მოხნულმა ანეულმა მისცა 1.078 ფუთი კართოფილი. ადრე მაისის ანეულმა 945 ფუთი კართოფილი. გვიან ივლისის ანეულმა — 828 ფუთი კართოფილი.

ამგვარად, ნაგვიანევ ანეულმა 250 ფუთზე ნაკლები კართოფილი მისცა, ყანის პატრონს ვიდრე ადრეულმა ანეულმა. აი ასეთ ზარალშია გლეხი, როცა ის ანეულს გვიან ხნავს. გვიან მოხნულმა ანეულმა პურიც ნაკლები გამოიღო და კართოფილიც, რომელიც პურის შემდეგ იყო დათესილი.

რატომ ხნავს გვიან გლეხი ანეულს?

ერთი იმიტომ, რომ არ იცის რა მნიშვნელობა აქვს ადრე ანეულის მომზადებას და მეორეც ის, რომ საანეულო მიწებს ის საქონლის საბალახეთ ხმარობს. რა ხეირი აქვს გლეხს ასეთი წესისაგან? დიდი-დიდი იმ ნაკვეთზე ოცდოდე ფუთი ბალახი მოსძოვა საქონელმა, სამაგიეროდ ის ჰკარგავს 50-56 ფუთ პურს, და 250 ფუთ კართოფილს,

რომელი უფრო მოსაგებია?

გლეხი უნდა ეცადოს საქონელს სხვაფრივ უშოვოს საკვები, ანეული კი რაც შეიძლება ადრე გაზაფხულზე უნდა მოხნას.

ნიადაგის გაპოხიერება

მოსავლის გადიდებას ხელს უწყობს აგრეთვე ნიადაგის გაპოხიერება - დანაკელება. მწირი, გამოფიტული ნიადაგი კარგს მოსავალს ვერ მოიტანს. ასეთ მიწაზე რაც უნდა საუცხოვო მარცვალი დათესოთ, ის მაიზც მცირე მოსავალს მოგვცემთ. მწირ მიწაზე მცენარე ვერ იხეირებს, ვერ გაიკეთებს ღონიერ ღეროს, თავთავსაც ვერ დაიმსხვილებს და მარცვალიც წვრილი ექნება.

ნაკელის (ნეხვის) დაყრა ყოველთვის შეიძლება. მხოლოდ მიტანისთანავე ის თანაბრად უნდა გაფანტოთ და მაშინვე ჩახნათ, რომ წვიმამ, ჰაერმა და მზემ არ გამოფიტოს. ნაკელი შეგიძლიათ დაყაროთ ახალიც და დამწვარიც. პურისათვის ორთავე სასუქათ ერთნაირად სასარგებლოა, ნაკელი რაც შეიძლება მეტი დაყარეთ. ნაკელის მოჭარბება საქმეს არ ავნებს.

ჩვეულებრივ საკმარისია 40 ურემი ნაკელი ერთს ჰექტარზე. ნაკელს დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლისათვის, ამიტომ მეურნე უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მეტი ნაკელი იქონიოს მეურნეობაში. ჩვენში ხშირად ნაკელი ფუჭდება და უვარგისად იკარგება. საქონელს ყოველთვის ფეხქვეშ საფენი დაუყარეთ: საამისოთ გამოგადგებათ პურის ჩალა, ბზე, თივა, გამხმარი ფოთოლი, გვიმრა, ნახერხი და სხვა. მაშინ საქონელი ნაკელს ფეხით არ გათქერს და სასუქიც მეტი დაგრჩებათ.

ნურც საქონლის შარდს დაკარგავთ ვინაიდან საქონელის შარდი საუკეთესო სასუქია. ბოსელი ისე მოაწყეთ, რომ შარდი ერთ ადგილას დაგროვდეს. შარდს აქედან ამოიღებთ და დაგროვილ ნაკელს დაასხამთ.

ჩვენში ნიადაგი მეტი წილად თიხნარია, ასეთ მიწას ნაკელით ვერ გააძღებთ, რაც მეტს დააყრით მით უკეთესი. თიხნარი მიწა მძიმე და ძარღვიანია, ნაკელი კი მას სპკმაოდ აფხვიერებს და ძარღვს უტეხავს. აი სწორეთ ასეთ ნიადაგზე კარგათ ხეირობს და კარგ მოსავალს იძლევა პური.

გარდა ნაკელისა, სასუქად შეიძლება სხვა ნივთიერებაც გამოიყენოთ: **კირი, ტკილი** (მერგელი), **ნაცარი, ლამი** (სილა) ყველა გვარი **ნაგავი და ხელოვნური სასუქები.**

ა) კ ი რ ი

კირი კარგია თიხნარი მიწებისათვის. კირიც თანაბრად უნდა გაფანტოთ ნიჩაბით. ჰექტარზე 3 ტონა (180 ფუთი) სრულებით საკმარისია. კირი უნდა დააყაროთ მყუდრო და კარგ ამინდში.

ბ) ტ კ ი ლ ი

ტკილი ყველგან არ მოიპოვება. სამეგრელოში ეს ერთი ხანია შემოიღეს ტკილით ნიადაგის გაპოხიერება და ეს

კარგ შედეგებს იძლევა. ჰექტარზე 40-50 ურემი საკმარისია.

ბ) ნ ა ც ა რ ი

ნაცარიც კარგი სასუქია. გამოფიტულ სათიბსაც კარგად რგებს. ნაცარი უნდა შეიტანოთ 5-6 ცენტნერი ანუ დაახლოებით 30-36 ფუთი ერთს ჰექტარზე.

ხელოვნური სასუქები ჩვენში ჯერ-ჯერობით არ არის შემოსული. ხელოვნურ სასუქებს ყანას აყრიან, ზოგს დათესვის ორი კვირით წინ, ზოგს როცა მცენარე უკვე ამოსულია.

ჯიშიანი თესლი მოსავალს ადიდებს

წმინდა ჯიშის თესლი ჩვენში ჯერ-ჯერობით მარტო საცდელ სადგურებს აქვთ. ამის გამო სადგურების მოსავალი სამჯერ და ოთხჯერ მეტია, ვიდრე გლეხის მეურნეობაში.

ჯიშიანი მარცვალი ყოველთვის ერთგვარია. ყოველ ჯიშს თავისი მოთხოვნილება აქვს. მთიან ადგილებში, სადაც მოკლე ზაფხულია, იქ ადრეული ჯიში უნდა დათესოთ. გვიანი ჯიშის მარცვალი აქ დამწიფებას ვერ მოასწრებს, სიცივე მოუსწრებს და მოსავალი დაიღუპება.

გვალვიან და ვაკე ადგილებში სულ სხვა ჯიშის პური უნდა დათესოთ, ისეთი, რომელიც გვალვას გაუძლებს. ამიტომ ყველა მეურნე უნდა ეცადოს გაიჩინოს ისეთი სათესლე მცენარე, რომელიც მის კუთხეს შეეფერება. ეს არც ისე ძნელია, მონდომებაა მხოლოდ საჭირო.

გაზაფხულიდანვე უნდა შეუდგეთ საქმეს, დაოდიშდება თუ არა თავთავი უნდა დაათვალიეროთ თქვენი ყანა.

მთაადგილებში ყანაში ისეთი ძირი მცერანე უნდა შეათვალიეროთ და სათესლეთ მოინიშნოთ, რომლებიც შემოდგომის სიცივეების დაჭერამდე შემოვა, და დასრულებულ მარცვალს გამოიტანს.

გვალვიან ადგილის მეურნემ კი უნდა შეარჩიოს ისეთი მცენარე, რომელიც აგრეთვე ადრე შემოვიდა, გვალვაც კარგათ აიტანა და ეტყობა, რომ გამოსავალიც კარგი ექნება.

ამრიგათ, შეთვალიერებული და ნიშანდადებული მცენარეები ცალკე უნდა მოსჭრათ, გალეწოთ და ცალკე მშრალ ადგილას შეინახოთ. მხოლოდ ყანის მიჯნაზე ან ნახევარ ადგილზე ამოსული მცენარე არ უნდა აარჩიოთ. შუა ყანიდან აღებული მცენარე სჯობია.

ასე შერჩეული მარცვლები ცალკე უნდა დათესოთ და მოამრავლოთ. ორი სამი წლის შემდეგ თქვენ თქვენი მიწა-წყალის პირობებს შეგუებული სათესლე მარცვალი გექნებათ.

ჯიშიანი სათესლე მარცვალის უფრო გასავრცელებლად სჯობია სათესლე კოოპერაციის დაარსება და მის გაწვითარებისათვის ხელის შეწყობა. ჯიშიან თესლით თესვას განსაკუთრებით კოლექტიურმა მეურნეობებმა უნდა მიაქციონ ყურადღება.

ესე მოიქცევით მომავლისათვის. დღეს კი მეურნემ არც ერთი მარცვალი თესლი გაუწმენდელი და დაუხარისხებელი მაინც არ უნდა დათესოს.

სათესლე მასალის გაწმენდა დახარისხება

თესლის გაწმენდა - დახარისხებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლის გადიდებისათვის. გააკეთეს ასეთი ცდა: აიღეს ჩვეულებრივი სათესლე მარცვალი და გაატარეს სარკვევ მანქანაში. მიიღეს სამი ხარისხის სათესლე: პირველი ხარისხის მარცვალი ყველაზე მძიმე და თავანკარა იყო, მეორე ხარისხისა საშუალო სიმძიმის და ზომისა, მესამე ხარისხისა — ყველაზე წვრილი, მჩატე და დამჭკნარი.

სამივე ხარისხის მარცვალი ცალკე-ცალკე დასთესეს საცდელად და აი რა შედეგი მიიღეს:

პირველმა ხარისხმა გამოიღო 131 ფუთი ჰექტარზე.

მეორე ხარისხმა გამოიღო 93 ფუთი ჰექტარზე,

მესამე ხარისხმა გამოიღო 40 ფუთი ჰექტარზე.

აი ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლის ხარისხს.

აქედან, ცხადია, წვრილი მარცვალი ვერასოდეს ვერ მოგვცემს სრულს


მოსავალს. ამიტომ გლეხმა ყოველთვის რაც შეიძლება **მსხვილი, მძიმე, კარგათ შემოსული და დამწიფებული** მარცვალი უნდა დათესოს. წვრილ-მჩატე და შემოუსველელ მარცვალზე კი ხელი უნდა ავიღოთ, ის სათესლეთ არ გამოდგება, სჯობია ის საკვებათ გამოიყენოთ.

სად უნდა იშოვოს მეურნემ ასეთი თესლი?

ისევ თავის ხვავში უნდა შეარჩიოს. სათესლე მასალის შერჩევა ხელითაც შეიძლება ნიჩბის და ცხრილ და ცხავების შემწეობით, მაგრამ თესლის გადარჩევა სარკვევ მანქანებზე სჯობია. სარკვევი მანქანა ბევრნაირია. ყველას მანქანა „**ტრიუმფი**“ და უფრო კი „**ტრიერი**“ სჯობია. „ტრიუმფს“ სანიავებელ ბანქანასაც ეძახიან.

სანიავებელ - დამხარისხებელი მანქანა „ტრიუმფი“

სანიავებელი მანქანა ძლიერ მარტივი აგებულებისაა. მანქანის ძაგნით მოთავსებულია ცხავები და საბერველი — ბორბალი. ზემოდან მოწყობილია ხვიმირა (მარცვლის ჩასაყრელი). ხვიმირიდან მარცვალი ბორბლის ტრიალის დროს სცვივა ცხავებზე, საბერველის ქარი ანიავებს ჩამოყრილ მარ-




მარტივი სანიავებელი მანქანა.

ცვალს და ყველა მსუბუქი საგნები — ბზე და მტვერი მიაქვს სანიავებელის გარეთ. მარცვალი და მძიმე საგნები კი იყრება ცხავებზე.

სანიავებელი მანქანა მხოლოდ ალცილებს ხვავს სხვადასხვა ნაგავს, თვით მარცვალს კი არ ახარისხებს. ამიტომ მარცვალი მხოლოდ ერთ ადგილას გროვდება.

მარცვალს ახარისხებენ სხვა მანქანები.



სარკვევ-სანიავებელი მანქანა „ტრიუმფი“.

მარცვლის დამახარისხებელი „ტრიუმფი“ ცხრილებით ანაწილებს მსხვილს და წვრილ მარცვალსაც. მაგრამ რადგან მსხვილი მარცვალი ზოგი მძიმეა, ზოგი კი მსუბუქი (მჩატე), საჭიროა ამათი გარჩევაც, რადგან ყველა მეურნემ კარგათ იცის, რომ მსხვილი და მძიმე მარცვალი უკეთეს მოსავალს იძლევა. „ტრიუმფი“ ძალიან კარგათ არჩევს მძიმე მარცვალს მჩატე (მსუბუქ) მარცვლისაგან.

„ტრიუმფი“ ძალიან წააგავს გარეგნულად სანიავებელ მანქანას, მაგრამ „ტრიუმფს“ უფრო მძლავრი საბერველი ბორბალი აქვს. ესეც საათში 40 ფუთამდე მარცვალს სწმენდავს და ღირს დაახლოვებით 90 მანეთი.

დამრკვევ და დამხარისხებელ მანქანებში ყველაზე უკეთესია „**ტრიერი**“.

სანიავებელი მანქანები მარცვალს აცლიან იმას, რაც მარცვალზე უფროა მჩატეა, მაგრამ თუ ნაგავი მარცვლის წონისაა, მისი გარჩევა სანიავებელ მანქანას არ შეუძლია. იმ ნაგავს, რომელიც მარცვალის წონისაა, არჩევს მხოლოდ „**ტრიერი**“. მაგალითად: მახო-


ბელს, ჭიოტას, გორველას, ცერცველას და სხვას.

ტრიერს სხვადასხვა ზომის ნახვრეტებიანი ცხრილები აქვს, რომელიც არჩევს ყოველგვარ ზომის მარცვალს ერთმანეთისაგან: პურს, ქერს, შვრიასჭვავს, მახობელას, ჭიოტას, გვირველას, ცერცველას და სხვა.

არის ისეთი ტრიერები, რომლებიც პურის მსხვილ და წვრილს მარცვალსაც არჩევს და ანაწილებს ერთმანეთში. ასეთ ტრიერებს სამ მოქმედებიან „ტრიერს“ უწოდებენ, რადგან ჯერ აცლის ხორბალს ყოველ ნაგავს, მერე ხარბალს აცლის ქერს, ჭვავს და შვრიას და შემდეგ თვით პურს ანაწილებს მსხვილ და წვრილ მარცვლებად.

„ტრიერს“ შეუძლიან საათში 5 ცენტნერი ანუ 30 ფუთი ხორბალი გაწმინდოს — გაარკვიოს და ღირს 200-300 მანეთამდე.

ტრიერზე სათესლე მასალის გაწმენდა ძლიერ ხელსაყრელია. დარკვეულ თესლით ნათესი ყოველთვის მეტ მო-



სარკვევი მანქანა „ტრიერი“, რომელიც ახარის ხებს მარცვალს.

სავალს იძლევა, დაახლოვებით ერთი მეათედით მაინც.

„ტრიერი“ საერთო ძალით უნდა შეიძინოთ, რომ აინაზღაუროთ მანქანის ღირბულება. ის ყოველთვის დატვირთული უნდა იყოს მუშაობით.

კიდევ რა სარგებლობა მოაქვს ტრიერს?

ჩვენი გლეხის ხვავში, როგორც ვთქვით, მრავლად ურევია სარეველა ბალახის თესლი, რომელიც ძლიერ ამცირებს და ამდარებს ჩვენი ჰარნახულის მოსავალს.

რა ზარალს აყენებს სარეველა ბალახი ყანას?

გამორკვეულია, რომ ჩვენში ასწილ ხორბალში საშუალოდ 30 წილი სარეველა ბალახეულის თესლი ურევია. სარეველა ბალახი და მისი თესლი ძლიერ გამძლეა, ერთხელ თუ მოიკიდა ფეხი, ან მისი მარცვალი თუ ჩაითესა ყანაში, ის ძნელი ამოსაგდებია. სარეველას თესლი ალმოცენის უნარს საქონლის კუჭშიაც კი არ კარგავს. ნეხვთან ერთად გადადის სასუქში, სასუქიდან მინდვრათ და ხელმეორეთ აფუჭებს ყანას.

ერთი საცდელი მინდვრის ანგარიშით გაწმენდილ მარცვალით დათესილმა ნაკვეთმა 124 ფუთი შვრია გამოიღო, გაუწმენდელ თესლით დათესილმა და გაუმარგლავმა ნაკვეთმა კი ასი ფუთი.

რატომ კლებულობს მოსავალი სარეველა ბალახისაგან?

აი რატომ: იმ ადგილას, საცა სარეველა ბალახი ამოდის, იქ პურეული მცენარე ვეღარ ამოვა, ცხადია, სარეველა ბალახი, როგორც გამძლე და ყველაფრის ამტანი უფრო მალე ამოდის, ვითარდება და ჩაგრავს კიდევ მეზობელ პურეულს. სარეველა ბალახს ფესვი გრძელი აქვს, ზოგს ორი მეტრის სიგრძე, რომელიც მიწის სილრმიდან სინესტეს ეზიდება. ეს სინესტე აკლდება დათესილ პურს. უნესტოთ კი ყოველთვის მოსავალი კლებულობს. ამ მხრივ სარეველა ბალახები დიდ ზარალს აყენებენ ყანებს გვალვიან ადგილებში და გვალვიან წლებში.

მაგრამ სარეველა ბალახი არა მარტო სინესტეში ეცილება ჩვენ პურეულ მცენარეს, არამედ საკვებშიაც. სასუქს, რომელსაც დათესილ პურეულს ვაძლევთ, ნახევარს სარეველა ბალახი ართმევს. ამგვარად გვეკარგება სრულებით ფუჭად ნახევარი სასუქი და ასეთ ნაირად ვკვებავთ ჩვენი ჰარნახულის მტრებს.

სარეველა ბალახით მოდებული ნიადაგი დასამუშავებლადაც ძლიერ ძნელია და დამუშავებაც ძვირი დაჯდება.

მიწას, თუ მაგალითად, ხვართქლა მოედო, ის არამცთუ სთელავს ნაბადივით ნიადაგს, არამედ ეხვევა ყანასაც და აძნელებს მკას; მოჭრის დროს ყანა ირხევა და მარცვალი სცვივა ძირს თავთავიდან.

სარეველი ბალახი ხელს უწყობს სხვადასხვა მავნებელის გამრავლებასაც, სარეველ ბალახისაგან დასუსტებულ ჭირნახულს მავნებელიც ადვილად ერევა და ჩაგრავს.

ამისათვის უნდა ვეცადოთ სათესლეთ სუფთა, მსხვილი, მძიმე და საღი მარცვალი ვიხმაროთ. სათესლე მასალა აუცილებლად ტრიერტში გატარებული უნდა იყოს.

მაგრამ არც ეს კმარა, რომ სათესლე მასალა გაწმენდილი და გარკვეული იყოს, საჭიროა, რომ სათესლე მასალა შეამოწმოთ, აღმოცენის უნარი აქვს თუ არა, შეიძლება მარცვალი გარეგნულად ყველაფრით კარგი იყოს, მსხვილიც და მძიმეც, მაგრამ აღმოცენის უნარი კი მოკლებული ჰქონდეს. ამისათვის დათესვის წინ თესლი აუცილებლად უნდა შეამოწმოთ. შემოწმება ასე უნდა:

აიღეთ ასი მარცვალი, დაასველეთ შალის ნაჭერი, დადეთ თეფშზე, ზედ დაყარეთ ერთი-ერთმანეთისაგან მოცილებით ეს ასი მარცვალი, წააფარეთ ზევიდან სველი შალის მეორე ნაჭერი და დასდგით თეფში თბილ ადგილას, თვალი ადევნეთ, რომ შალის ნაჭერს სი სველე არ გამოეცალოს.

ხუთი - ექვსი დღის შემდეგ ზევიდან გადაფარებული შალის ნაჭერი ახადეთ და დათვალეთ, რამდენი მარცვალი გაღივდა. გაღივებული მარცელები დათვალეთ და იქაურობას მოაცილეთ.

ასე გაიმეორებთ ათ დღემდე. თუ ათი დღის განმავლობაში ას მარცვალში ერთი მეორეზე წათვლით 90 მარცვალი გაღივდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მარცვალი სათესლედ ვარგა. თუ ას მარცვალში მხოლოდ 80-85 მარცვალი გაღივდა, ასეთი მარცვალი თესლად არ ვარგა, მის ნაცვლად სხვა სათესლე უნდა იშოვოთ.

მარცვლის შემოწმება სილა ჩაყრილ პატარა ყუთში ან ქილაშიაც შეიძლება.

თესლი უწამლელი არ დასთესოთ

ჩვენში ძლიერ გავრცელებულია **გუდაფშუტა**. გუდაფშუტა ადვილად ვრცელდება ყანაში. გუდაფშუტიანი პური მავნებელია; ადამიანმა ასეთი პური რომ ბევრი შეჭამოს, მოიწამლება. გუდაფშუტა სოკოს ავადმყოფობაა, მისი გამომწვევი თესლი ძნელი დასანახავია, მტვერივითაა. ამიტომ გუდაფშუტით დაავადებულ მარცვალის გადარჩევა შეუძლებელია. საჭიროა მთელი სათესლე მასალის წამლობა.

თესლს სწამლობენ **ფორმალინით** და **შაბიამანით**, შეიძლება კირითაც თესლის წამლობა. ყოველშა მთესველმა უნდა იცოდეს და **არც ერთი მარცვალი არ უნდა დათესოს უწამლელი.**

შაბიამანის ხსნარით წამლობა

აიღეთ ერთი კილოგრამი (ორ-გირვანქა - ნახევარი) შაბიამანი და ასი ლიტრი ანუ ასი ბოთლი (8 ვედრო) წყალი. ჯერ გახსენით შაბიამანი ცოტა ცხელ წყალში და შემდეგ შეავსეთ ას ლიტრა ცივი წყლით.

შაბიამანის ხსნარი აუცილებლად ხის ან თიხის ჭურჭელში უნდა მოამზადოთ. ლითონის ჭურჭელი არ იხმაროთ. ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში ხმაროობენ ხის ბოჩკას.

როცა წამალი მზად იქნება, აიღეთ სათესლე მასალა, ჩაყარეთ ტომარაში ან კალათაში და ისე ჩაუშვით ხსნარში. მარცვალი აუცილებლად დაფარული უნდა იყოს წამლით.

უნდა ეცადოთ, რომ ყველა მარცვალს კარგად გაუჯდეს წამალი. ამისათვის ტომარა უნდა შეატრიალ - შემოატრიალოთ და შეანჯღრიოთ, თუ ეს ვერ გეხერხებათ ნიჩბით ან ხელით უნდა აურიე-დაურიოთ.

თესლი დიდხანს არ უნდა გააჩეროთ წამალში: ხუთი წუთი სრულებით საკმარისია. თუ ამაზე დიდხანს გააჩერეთ

შეიძლება თესლს აღმოცენის უნარი დააკლდეს. ხუთი წუთის შემდეგ წამალიდან ამოღებული თესლი სუფთა იატაკზე ან საფენზე დაყარეთ გასაშრობად. გამშრალი თესლი უკვე მზად არის დასათესად. არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ იატაკიც და საფენიც აუცილებლად შაბიამანის ხსნარით უნდა იყოს დასველებული.

თუ თესლს გაშრობის შემდეგ მაშინათვე არ დასთესავთ, მაშინ თესლი შეგიძლიათ ტომრებში ჩაყაროთ და ისე შეინახოთ დათესვამდე, მაგრამ ტომრებიც წინასწარვე შაბიამანის ხსნარში უნდა გქონდეთ დასველებული.

წამალში გატარებული მარცვალი მოწმლულია და მისი საჭმელად ან საკვებად ხმარება აღარ შეიძლება.

ერთი კილოგრამი (ორ გირვანქა-ნახევარი) შაბიამანი სრულიად საკმარისია ნახევარ ტონა (30 ფუთი) თესლის საწამლებლად.

ფორმალინით წამლობა

ფორმალინით წამლობა ასე უნდა: აიღეთ ერთი წვალი ფორმალინი, გახსენით სამას წილ წყალში, როცა ეს ხსნარი მზად გექნებათ, აიღეთ მანქანაზე გაწმენდილ - დარკვეული თესლი, ჩაყარეთ ტომარაში და ჩაუშვით წამალში — ანდა დაყარეთ იატაკზე, ან რაიმე საფენზე და ბოსტნის სარწყავით დაასველეთ სათესლე ხვავი, თან შიგა და შიგ ნიჩბით ურიეთ, რომ თვითეული მარცვალი კარგად დასველდეს.



ფორმალინით წამლობა

შემდეგ ასე დასველებულ ხვავს წააფარეთ რამე, მაგალითად ტომრები და ასე დასტოვეთ ორი საათის განმავლობაში. ამის შემდეგ გადახადეთ საფარი, ხორბალი გაწვალეთ თხლად, რომ ჰაერმა გაუაროს და გაშრეს. ამის შემდეგ შეიძლება უკვე თესლი ყანაში გადაიტანოთ. ამ წამლობის დროს ყველა იარაღი და ტომარ - საფენებიც დასველებული უნდა იყოს ფორმალინის ხსნარში.

მწკრივად თესვა

მოსავლის გასადიდებლად ერთი ღონისძიება სხვათა შორის ისაა, რომ თესლს მწკრივად სთესვენ.


საცდელ მინდვრების სათეს მანქანებით მწკრივად დათესილი ყანა 10-20 ფუთამდე მეტ მოსავალს იძლევა დესეტინაზე, ვიდრე გაბნევით დათესილი, ისე, რომ სათეს მანქანის ხმარებით

მთესველს ორნაირი ხეირი აქვს: **თესლსაც ნაკლებ ხარჯავს და მოსავალსაც მეტს აიღებს.**

მწკრივად თესვა იმით არის კარგი, რომ მწკრივად დათესილი მცენარეები ერთმანეთს არ ჩაგრავენ, მზით, სინათლით და ჰაერით დაახლოებით თანაბრად სარგებლობენ; მწკრივად ნათესში მუშაობა ყოველთვის უფრო იოლია და სწრაფიც. გარდა ამისა მწკრივად დათესილ ყანაში ზოგიერთი სამუშაოს შესასრულებლად შეიძლება მანქანა და საქონელი ამუშაოთ, რაც მუშაობასაც აჩქარებს და ნაწარმოებს აიაფებს. **ამიტომ მწკრივად ნათესი ყანა ყოველთვის მეტ მოსავალს იძლევა და ნაწარმოებიც უკეთეს ხარისხის გამოდის.**

რაც უნდა კარგი სათესლე შეარჩიოთ, თუ მას ზრდის დროს მოვლა მოაკლდა, ის გადაგვარდება და ხელმეორედ დაგჭირდებათ მოსავლის გადიდების და ნაწარმოების გასაუმჯობესებლად საჭირო თადარიგის დაწყება.

თესლის მწკრივად თესვა შეიძლება როგორც მანქანით, ისე ხელითაც, მაგრამ ხელით თესვა ბევრ დროს ართმევს კაცს და ვერც იმდენათ თანაწორათ გამოვა მწკრივები. ყოველ შემთხვევაში ხორბლის ხელით დათესვა ხელსაყრელი არ არის.




ხელით ნათესი.

ხორბლეულის მწკრივად დათესვა აუცილებლად სათეს მანქანით უნდა. სათესი მანქანა სწორედ ანაწილებს თესლს და თანაბარ სიღრმეზე სთესავს, მწკრივად თესვის დროს არ მოხდება ის, რაც ხდება თესლის ხელით გაბნევის დროს.

ხელით გაბნევის დროს ერთი მარცვალი, რომ ღრმად ითესება, მეორე მიწის ზედაპირზე რჩება და ტყუილა-უბრალოდ იკარგება: ღრმად დათესილი თესლი ამოსვლას ვერ ასწრებს და ლპება, ზედაპირზე დარჩენილ მარცვალს ფრინველი სჭამს ან ქარს მიაქვს და იღუპება.

მანქანით ნათესი თანაბარია და თვითეული მარცვალი თანაბარ პირობებში



სათეს მანქანით ნათესი.

ხვდება, ამიტომ ნათესი ერთ დროს დაჯეჯილდება და თანაბრად ამოდის. ამის გამო ნათესი თანაბრად ვითარდება და ერთ დროს მწიფდება.

მწკრივად თესვის დროს სათესლე მასალაც ნაკლები მიდის და მოსავალსაც მეტს იძლევა.

გაბნევით დათესვაზე ჰექტარს თუ 10 ფუთი ხორბალი უნდება, მწკრივად თესვის დროს საჭიროა მხოლოდ 7-8 ფუთი. ესეც კარგი შელავათია მეურნისათვის. გარდა ამისა, სათესლე მასალის რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ როგორ სთესავს. სჭლად ნათესს მეტი სჭირია, ვიდრე თხლად ნათესს, ან როდის სთესავთ: თუ ადრე სთესავთ, მაშინ ნაკლები თესლი დაგჭირდებათ, გვიან ნათესს კი ცოტა მეტი.

ნათესის სისქე დამოკიდებულია აგრეთვე სხვა გარემოებებზე, მაგალითად, სათესლე მასალის ღირსება-თვისებაზე, ნიადაგის ნაყოფირებაზე და სხვა. თუ სათესლე მასალა მდარეა და აღმოცენის უნარი ნაკლები აქვს მაშინ თესლიც მეტია საჭირო, რაც უფრო მწირეა ნიადაგი. მით უფრო სჭლად უნდა დათესოთ.

რა სიღრმეზე უნდა დაითესოს

პურეულისათვის ღრმად დათესვა არ არის საჭირო. ერთი ვერშოკის სიღრმე სრულებით საკმარისია. თესვის სიღრმე მაინც სხვადასხვა პირობაზეა დამოკიდებული: ნესტიან მიწაში თე-

ლი ზერელეთ უნდა დათესოთ, რომ არ ჩალპეს; პირიქით, მშრალ მიწაში უფრო ღრმათ უნდა დათესოთ, რომ თესლი არ გახმეს.

სადაც დიდი ყინვები იცის, იქ თესლი უფრო ღრმად უნდა დაითესოს, რომ ახლად გაღვივებული ნორჩი მცენარე ყინვისაგან არ დაზიანდეს. მძიმე თიხნარ მიწაში არ უნდა ჩაითესოს მარცვალი ღრმად, რადგან დიდ სიღრმიდან მცენარე ზევით ვერ ამოატანს.

თუ შემოდგომის ნათესში მიწის პირს ქერქი გადაეკრა, საჭიროა ამ ქერქის დარღვევა-დაშლა. თუ ჯეჯილი მოღონიერებულია, შეიძლება ნათესზედ კბილებიანი ფარცხი გაატარონ. ფარცხი მიწაზე გადაკრულ ქერქს დაშლის, დაარღვევს, ჯეჯილის ფესვებს ჰაერი მოხვდება, სინესტე დატრიალდება და ჯეჯილიც უკეთ განვითარდება.

როგორი უნდა იყოს თვით თესლი

ის სათესლე მასალა, როგორსაც ჩვენი გლეხი ჩვეულებრივ სთესავს სავსეა სხვადასხვა ნაგავ-ნაკმაზით, სარეველა ბალახების თესლით, კენჭით და ათასნაირი ნაგავი-სიბინძურით.

ასეთი თესლი, რასაკვირველია, არ ვარგა, ასეთი თესლის ხმარება არამც თუ მოსავალს არ გაგვიდიდებს, არამედ მოსავალი ყოველ წლივ იკლებს და მალე ხორბლეულის მაგივრად მხოლოდ სარეველა ბალახების თესლი შეგვრჩება ხელთ.

როგორც ზევით ვთქვით, ჯერ უნდა ვეცადოთ სათესლეთ ჯიშიანი თესლი ვიშოვოთ, თუ ამას ვერ მოვახერხებთ, მაშინ ის სათესლე მასალა, რომელიც ოჯახში მოგვეპოვება, უნდა გავწმინდოთ, დავარკვიოთ არა ნიჩაბ-ცხავებით, არამედ ხორბლეულის გამწმენდ-დამრკვეველ მანქანებზე, რომელიც ამჟამად თითქმის ყოველ სოფელში მოიპოვება.

მაგრამ გაწმენდა დარკვევის შემდეგაც უნდა ვიცოდეთ, როგორი უნდა იყოს კარგი სათესლე მარცვალი. კარგი სათესლე მარცვალი უნდა იყოს:

1. სრულიად დამწიფებული, ანუ შემოსული. მხოლოდ ასეთი მარცვალი მოგვცემს ღონიერ მცენარეს და კარგ მოსავალსაც.

2. თესლი უნდა იყოს მსხვილი და მძიმე. მხოლოდ ასეთ მარცვლისაგან შეიძლება გაიზარდოს ლაღი და ღონიერი მცენარე, რომელიც კარგად იბარტყებს, მსუქანს და მძიმე თავთავს გაიკეთებს და მოსავალსაც უხვს მოგვცემს.

წვრილ, მსუბუქ და დამჭკნარ მარცვლისაგან არასოდეს ღონიერი მცენარე არ განვითარდება, ამიტომ მისგან კარგ მოსავალს არასოდეს არ უნდა მოელოდეთ. ეს იმიტომ ხდება, რომ ახლად გაღვივებულ ნორჩ მცენარეს, ვიდრე ის ფესვებს გაიკეთებდეს და მიწიდან ამოღებული საკვების შეთვისებას დაიწყებდეს დამჭკნარ მარცვალში ის საკმაო საზრდოს ვერ შოულობს, კარგათ ვერ იკვებება, ჩაივდება და მძლავრ მცენარედ ველარ იზრდება, ისე, როგორც ჩვილ ბავშს დედის ძუძუ რომ მოაკლოთ.

ამგვარად რაც მსხვილი და მძიმე იქნება სათესლე მარცვალი, მით უკეთესია. მასში მეტი საზრდო იქნება ნორჩ მცენარისათვის და მისგან ღონიერი მცენარე დადგება, კარგად იბარტყებს და მძიმე სავსე თავთავსაც გაიკეთებს.

3. სათესლე მარცვალი არ უნდა იყოს ძველი. სათესლეთ ახალი ხორბალი სჯობია. ძველ ხორბალს შეიძლება აღმოცენის უნარი დაკარგული ჰქონდეს. ნესტიან ადგილას შენახული ხორბალი ძალიან ადვილად კარგავს აღმოცენის უნარს. როგორ უნდა აღმოცენის უნარიანობის გაგება, ამაზე ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ.

4. თესლი უნდა იყოს საღი. ხორბალი უფრო ხშირად გუდაფშუტით არის დაავადებული. გუდაფშუტით დაავადებული მარცვალი თითებით რომ გასრისოთ შავი მტვერი გამოუვა. ეს არის გუდაფშუტას გამომწვევი შტვერი, რომელიც ადვილად გადადის საღ მარცვლებზე და შეიძლება თვალით ვერ დავინახოთ. ამ ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად არსებობს წამლობა, რომელზედაც ზევით ვილაპარაკეთ.

6. სათესლე მარცვალი უნდა იყოს საღი ფერისა და არ უნდა სდიოდეს შმორის ან სხვა სუნი. თუ თესლს შმორის სუნი სდის, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ნესტიან ადგილას დებულა. ნესტი კი ძლიერ მალე უკარგავს მარცვალს აღმოცენის უნარს.

ნათესების მოვლა - პატრონობა

კარგი მოსავლის მისაღებად არ კმარა ნიადაგის კარგად მომზადება და კარგი თესლით დათესვა, საჭიროა ნათესების მოვლაც ვიცოდეთ. პურის მოვლა - პატრონობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ზრდა-განვითარების დროს თავიდან ავაცილოთ ყოველგვარი ისეთი მოვლენა, რომელიც ხელს უშლის მათ წესიერ განვითარებას.

პურეულს, გარდა ჰაერის და ცუდ მოვლენებისა, ძლიერ ბევრი მტერიც ჰყავს: პურს უჩნდება სხვადასხვა სენი, მას აწუხებს მწერი - მავნებელი, მინდვრის თაგვი და ჩაგრავს და ახშობს სარეველა ბალახი და სხვა.

ჩვენი პურეული უფრო მეტად გვალვისაგან იღუპება. გვალვის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებად ითვლება **ადრეული ანეული, შემოდგომით მოხვნა და აგრეთვე გაზაფხულის თესლის ადრეულად დათესვა.** განსაკუთრებით ამას მნიშვნელობა აქვს ისეთ ფიცხ და გვალვიან ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენი ქვეყანა არის. ჩვენ ამის გამოცდილება უკვე გვაქვს. შარშან სიმინდის მოსავალი გვალვისაგან იქ გადარჩა, სადაც ის ადრე დათესეს.

გარდა ამისა, ჩვენ უნდა ვეცადოთ გვალვის ამტან ხორბლის ჯიშების გამოყვანას. ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს არა მარტო ჩვენმა საცდელმა სადგურებმა, არამედ საცდელ-საჩვენებელ მინდვრებმა, საბჭოთა და კოლექტიურმა მეურნეობებმაც.

გარდა გუდაფშუტასი პურეულს ემტერება სხვა ავადმყოფობაც, მაგალითად **ჟანგი.** მაგრამ არიან ისეთი ჯიშები, რომლებსაც ეს სენი ნაკლებად ჰკიდებს ხელს. საჭიროა, რომ ესეთი ჯიშის პურეულიც შემოვიდეს ჩვენში.

მავნებლებთან ბრძოლა

სხვადასხვა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს. მათგან მიყენებული ზარალი მეტის-მეტად დიდია. დაახლოებით მათგან მიყენებული ზარალი თითქმის მთელი წლიური მოსავლის ერთ მესამედს უდრის, ხანდახან ამასაც აჭარბებს.

მინდვრის თაგვის და კალიის წინააღმდეგ, მართალია, მთავრობა აწარმოებს ბრძოლას, მაგრამ მოსახლეობაც არ უნდა დარჩეს გულხელდაკრეფილი, გაცხოველებული მონაწილეობა უნდა მიიღონ მათ ამ მავნებლების წინააღმდეგ.

რაც შეეხება სხვა მავნებლებს, მათ წინააღმდეგაც ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მასიური ბრძოლა, რომ უფრო ნაყოფიერი გამოდგეს გაწეული შრომა და ხარჯები.

სარეველ ბალახებთან ბრძოლა

სარეველ ბალახებთან ბრძოლისათვის უნდა მივიღოთ შემდეგი ღონისძიებანი:

1. ნიადაგის დამუშავება, რომლის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სარეველ ბალახებისაგან გაწმენდას;

2. წმინდა თესლის დათესვა;

3. მიჯნების გაწმენდა სარეველ ბალახებისაგან ან სრულებით მათი (მიჯნების) მოსპობა;

4. სათოხნი მცენარეების თესვის შემოღება, რომლების სწორი მოვლა-პატრონობის დროს სარეველა ბალახები ისპობიან.

5. მარგვლა, თოხნა და გათიბვა სარეველ ბალახებისა დაყვავილებამდე და სხვა. პურის ყანაში სარეველ ბალახებთან ბრძოლა მხოლოდ მარგვლით შეიძლება.

თესლთა გრუნვა

ჩვენი მცირე მოსავლიანობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ჩვენი მეურნე სულ ერთ და იმავე მცენარეს თესავს და არ იცის მცენარეთა შენაცვლა. დასავლეთ საქართველოში მართო სიმინდსა თესავენ, აღმოსავლეთ საქართველოში კი — პურს და ქერს, დასავლეთ საქართველოში მხოლოდ

აქა-იქ გამოერევა ხოლმე სოია (ძაძა), ან ღომი, აღმოსავლეთ საქართველოში კი მზისუმზირა და ლობიო ან სხვა რომელიმე მცენარე.

მცენარე ცოცხალი არსებაა. მას საზრდო – საკვები სჭირდება. საკვები ზოგს ერთი უნდა, ზოგს კიდევ მეორე, ეს მცენარეზეა დამოკიდებული. ყველა მცენარეს თავისი საკუთარი მოთხოვნილება აქვს.

თუ ერთი და იმავე ადგილს რამდენიმე წელიწადი ერთი და იგივე მცენარე მოვიყვანეთ, ცხადია, იმ ადგილას ამ მცენარის საკვები ნივთიერება გამოელევა, მცენარე საკვებს საკმაოდ ვეღარ იშოვის და მოსავალს ნაკლებს მოგვცემს.

ამით აიხსნება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ზოგიერთ კუთხეში, სადაც მუდმივ პურს სთესავენ, დღეს ბევრგან შეხვდებით უსარგებლოთ მიტოვებულ მწირ, გამოფიტულ მიწებს.

გარდა ამისა პური, სიმინდი, მზისუმზირა, ყველა ესენი მოკლე ფესვიანი მცენარეებია. რაც უნდა ღრმად მოუვლით მიწა, ისინი მაინც ვერ ისარგებლებენ ამ საკვებ ნივთიერებებით, რომლებიც ხნულის ქვედა ფენებშია, ისინი საკვებს ყოველთვის ხნულის ზევითა ფენიდან ხარჯავენ.

ამ გარემოების თავიდან ასაცილებლად არსებობს ორი გზა:

ერთი ის, რომ გამოფიტული ნიადაგი უნდა უხვად დავანაკელოთ და ამგვარად დასუსტებულ ნიადაგს დაკარგული სინოყიერე დავუბრუნოთ, მეორეც ის, რომ ახალი მცენარეების თესვა შემოვიღოთ და ეს მცენარეები ყოველ წლიც ერთი - ერთმანეთით შეუნაცვლოთ.

პირველი გზა კარგია, მაგრამ იმდენი სასუქი ვინ მოიტანა, რომ მთელი ჩვენი გამოფიტული მიწები ერთბაშად გაამოვაბრუნოთ. სასუქი კი იმიტომ არა გვაქვს, რომ მარტო პურეულს ვთესავთ, საქონლის საკვებ ბალახების თესვა კი სრულებით მივიწყებული გვაქვს.

ბეტი საკვები რომ გვქონდეს, მეტ საქონელს შევინახავდით, ბეტი სასუქი გვექნებოდა და მიწასაც უკეთესად ვამუშავებდით.

რიდის გამოსწორდება ეს მდგომარეობა?

პირველი: მაშინ, როცა პურისა და სიმინდის გარდა **სოიას, კართოფილის,** მზისუმზირას, ჭარხალს, ლობიოს, ბამბის, საკვებ ბალახების და სხვა მცენარეების თესვას შემოვიღებთ.

მეორე. მაშინ, როცა ყოველ წელიწადს ამ მცენარეებს ადგილობრივ პირობების მიხედვით ერთი – მეორეს შეუნაცვლით ყოველ წელიწადს;

მესამე: მაშინ, როცა ეს მცენარეები ყოველწლივ ნიადაგს ხან ზედა და ხან ქვედა ფენას დააწვებიან და ამგვარად ნიადაგში საკვებ ნივთიერებას თანასწორად ამოკრეფავენ და

მეოთხე: მაშინ, როცა ხანდისხან ნიადაგის გასანაყოფიერებლად საგულდაგულოდ ისეთ მცენარეებს დავთესავთ, როგორიც არის, მაგალითად: **იონჯა, სამყურა, სოია, ესპარცეტა** და სხვა.

როცა მარტო პურეულს ვთესავთ, ყოველ წელიწადს სახნავი მიწის ან ნახევარი, ან მესამედი უთუოდ ისვენებს და სცდება, ამისაგან მეურნეობას არავითარი სარგებლობა არა აქვს.

მრავალ მინდვრიანი ანუ თესლთა შენაცვლა თუ შემოვიღეთ, მაშინ მიწის ან ერთი მეთხედი დაისვენებს, ან სრულებით არც ერთი მტკაველი.

მრავალ წლიან თესლთა ბრუნვის დროს პური პურის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოჰყვება. კართოფილს, სოიას და ლობიოს შემდეგ პური საუცხოვო მოდის და საჭირო არ არის მიწის შესვენება, რადგან ამ მცენარეების შემდეგ ნიადაგი კარგად მუშავდება, სარეველა ბალახები ისპობა და ნიადაგიც საკმაოდ ნაყოფიერი რჩება პურეულისათვის.

იონჯა, სოია, ოსპი, უგრეხელა და სხვა პარკიანი მცენარე, გარდა იმისა, რომ მეურნეობას საუკეთესო საკვებს აძლევს და, მაშასადამე, ნაკელსაც, იმავე დროს არამც თუ არ აღარიბებს და არა ფიტავს ნიადაგს, არამედ, როგორც ვიცით, ამდიდრებს და აფხვიერებს კიდევაც ნიადაგს.

სამყურას და სხვა მისგვარ მცენარეების შემდეგ იმდენივე საზრდო მოიპოება ნიადაგში მცენარეთათვის, როგორც ნაკელით გაპოხიერებულ დასვენებულ მიწაში.

მრავალ წლიანი თესლთა ბრუნვის დროს ხელოვნურ სასუქების გამოყენებაც უკეთ შეიძლეთა და მათ მეტი სარგებლობაც მოაქვთ, ვიდრე მაშინ, როცა მხოლოდ პურეულს ვთესავთ.

მრავალწლიან თესლთა ბრუნვის დროს მეურნეს ერთბაშად ემატება ზამთარ – ზაფხულის საკვები, მაშინ საჭირო აღარ არის საქონლის ნასვენ მიწებზე, ნამკალში და ანეულად დატოვებულ ნაკვეთებზე ძოვება. საქონელს კარგი ღირსებით ბარაქიანი ნოყიერი ბალახი უჩნდება, რის მეოხებით რძეს მეტს იწველის, ჯანსაღდება და ხორცთაც მატულობს.

ანეულზე და დასვენებულ მიწაზე და ნაყანევზე ბალახი ძალიან მცირე და მდარე მოდის. თავის დროზე და როგორც წესია, რომ დამუშავდეს მიწა, მაშინ არც სარეველა ბალახი გაჩნდება.

როცა საკვებ ბალახების და ძირნაყოფა (ჭარხალი) მცენარეების თესვას შემოვიღებთ, მაშინ კი საკვებიც მეტი გაჩნდება მეურნეობაში და ამიტომ საქონელსაც მეტს ვიყოლიებთ.

საკვებ ბალახების თესვა, სხვადასხვა მცენარეების სწორი შენაცვლება, დასვენებულ ადგილებზე და ნაყანევზე საქონლის ძოვების აღკვეთა, ნიადაგის დროზე დამუშავება (ადრეული ანეული, აოშება), **და ნაკელის შეტანა სწრაფად აუმჯობესებს ნიადაგს:** მძიმე, ძარღვიანი თიხნარი ნიადაგი ფხვიერდება, ქვიშნარი და მსუბუქი ნიადაგი საჭირო ზომაზე იკვრება და ძარღვიანდება. **ერთი სიტყვით ნიადაგის აგებულობა უმჯობესდება.**

ამგვარად გაუმჯობესებულ ნიადაგში ჰაერი და წყალი ადვილად უვლის, **ჰაერი და წყალი კი** მცენარისათვის აუცილებელია ფესვების განვითარებისათვის. ასეთ ნიადაგს ქერქი არ ეკვრის, წყალი ზედაპირზე არ ჩერდება, ნიადაგი ჩქარა არ იტკეპნება და არც ირეცხება, სამაგიეროდ მცენარეებისათვის საზრდო მარაგდება.

ასეთ პირობებში მცენარე გვალვასაც და მიწის სიწყლიანეს უკეთ იტანს.

გაზაფხულის ნათესები

გაზაფხულის თესვა იწყება ადრე გაზაფხულიდან და გრძელდება თითქმის ივნისამდე, ხანდახან ივნისის ნახევრამდეც, ეს წელიწადზეა დამოკიდებული.

ყველაზე ადრე ითესება ის მცენარე, რომელსაც გაზაფხულის ყინვებისა არ ეშინია. ადრე შეიძლება დათესოთ **ჭვავი, შვრია, ბარდა.** ამათზე უფრო გვიან შეგიძლიანთ დათესოთ **ქერი,** გაზაფხულის **პური, სიმინდი, მზის უმზირა, ადრეული კართოფილი** და ზოგი ერთი მცენარე.

ყველაზე გვიან შეგიძლიანთ დათესოთ მხოლოდ ისეთი მცენარე, რომელიც ნაკლებ უძლებს სიცივეს.

გადაწყვეტით დროს ჩვენება, როდის რომელი მცენარე უნდა დაითესოს, ძნელია, რადგან გაზაფხული ყოველ წელიწადს ერთ და იმავე დროს არ იწყება, გაზაფხული მეტად მიზეზიანი ხანაა. ის ხან ადრე იწყება, ხან კი გვიან. აქაც დიდი დაკვირვება და გამჭრიახობა სჭირია, რომელსაც ჩვენი მეურნე თანდათან უნდა შეეჩვიოს.

შესმენილს მეურნეს უეჭველად უნდა ჰქონდეს ცალკე რვეული, სადაც ის თავის დაკვირვებებს უნდა აღნიშნავდეს.

ამ საქმეში ჩვენმა საცდელმა სადგურებმა დროა ხმა ამოიღონ.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვალვიან ქვეყანაში, რაც ადრე გავიტანთ გაზაფხულის თესლს, მით უკეთესია. ამის მაგალითი, ვიმეორებთ, დასავლეთ საქართველომ გვიჩვენა: ადრე დათესილმა სიმინდმა უკეთესი მოსავალი მოგვცა, ვიდრე გვიან დათესილმა.

ა 9845
1930

1930 წლის კალენდარი

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
კვირა	— 5 12 19 26	— 2 9 16 23	— 2 9 16 23 30	— 6 13 20 27	— 4 11 18 25	1 8 15 22 29
ორშაბათი	— 6 13 20 27	— 3 10 17 24	— 3 10 17 24 31	— 7 14 21 28	— 5 12 19 26	2 9 16 23 30
სამშაბათი	— 7 14 21 28	— 4 11 18 25	— 4 11 18 25	— 1 8 15 22 29	— 6 13 20 27	3 10 17 24 —
ოთხშაბათი	1 8 15 22 29	— 5 12 19 26	— 5 12 19 26	— 2 9 16 23 30	— 7 14 21 28	4 11 18 25 —
ხუთშაბათი	2 9 16 23 30	— 6 13 20 27	— 6 13 20 27	— 3 10 17 24 —	1 8 15 22 29	5 12 19 26 —
პარასკევი	3 10 17 24 31	— 7 14 21 28	— 7 14 21 28	— 4 11 18 25 —	2 9 16 23 30	6 13 20 27 —
შაბათი	4 11 18 25 —	1 8 15 22 —	1 8 15 22 29 —	5 12 19 26 —	3 10 17 24 31	7 14 21 28 —

1 იანვარი. ახალი წელიწადი.—22 იანვარი. 1905 წ. 9 იანვარს პეტერბურგში დახოცილ მუშათა და პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღე.—12 მარტი. თვითმპყრობელობის დამხობა.—18 მარტი. პარიზის კომუნის დღე.—1 და 2 მაისი. ინტერნაციონ. დღეები

	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
კვირა	— 6 13 20 27	— 3 10 17 24 31	— 7 14 21 28	— 5 12 19 26	— 2 9 16 23 30	— 7 14 21 28
ორშაბათი	— 7 14 21 28	— 4 11 18 25	— 1 8 15 22 29	— 6 13 20 27	— 3 10 17 24	— 1 8 15 22 29
სამშაბათი	1 8 15 22 29	— 5 12 19 26	— 2 9 16 23 30	— 7 14 21 28	— 4 11 18 25	— 2 9 16 23 30
ოთხშაბათი	2 9 16 23 30	— 6 13 20 27	— 3 10 17 24	— 1 8 15 22 29	— 5 12 19 26	— 3 10 17 24 31
ხუთშაბათი	3 10 17 24 31	— 7 14 21 28	— 4 11 18 25	— 2 9 16 23 30	— 6 13 20 27	— 4 11 18 25
პარასკევი	4 11 18 25 —	1 8 15 22 29	— 5 12 19 26	— 3 10 17 24 31	— 7 14 21 28	— 5 12 19 26
შაბათი	5 12 19 26 —	2 9 16 23 30	— 6 13 20 27	— 4 11 18 25	— 1 8 15 22 29	— 6 13 20 27

6 ივლისი. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღე.—7 და 8 ნოემბერი. პროლეტარული რევოლიუციის დღეები.